ზიგმუნდ ფროიდი

ფსიქოანალიზის სიძნელე

(1917)

შესავალშივე მინდა აღვნიშნო, რომ არ ვგულისხმობ ინტელექტუალურ სიძნელეს, რომელიც ფსიქოანალიზის გაგებას აბრკოლებს, არამედ იმ აფექტური ხასიათის სიძნელეს, რომლის გამოც აღმქმელი ნაკლებად დაინტერესდება ან ირწმუნებს. სხვა სახის სიძნლეები ამ პირველადი სიძნელიდან მომდინარეობს; რაიმე ძნელად გაიგება, თუკი მისდამი საკმაო სიმპათია არ არის.

შორიდან უნდა დავიწყო: დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე ფსიქოანალიზში საბოლოოდ ჩამოყალიბდა თეორია, რომელიც ლიბიდოს თეორიის სახელითაა ცნობილი. ფსიქოანალიზი ეგრეთწოდებულ ნერვულ აშლილობათა შესწავლასა და მკურნალობას ეწევა; შესაბამისად, უნდა მონახულიყო ლიბიდოს ადგილიც სულის ლტოლვათა ცხოვრებაში. ნევროზის გაგება ლტოლვების შესახებ ჩვენეულ დაშვებებს ეფუძნება.

ტრადიციული ფსიქოლოგია არადამაკმაყოფილებელ პასუხებს იძლევა სულიერი ცხოვრების თაობაზე. განსაკუთრებული სისუსტით გამოირჩევა მისი დამოკიდებულება ლტოლვათა სფეროსთან დაკავშირებით.

ჩვენ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადავდგით. გავრცელებული შეხედულება ერთმანეთისგან გამოყოფს შიმშილსა და სიყვარულს, როგორც განსხვავებულ ლტოლვებს, რომელთაგან ერთი ინდივიდის შენარჩუნებისკენ ისწრაფვის, ხოლო მეორე _ გამრავლებისკენ. ვიზიარებთ რა აღნიშნულ პოზიციას, გამოვყოფთ თვითშენახვის ან “მე”_ ლტოლვებსა და სექსუალურ ლტოლვებს, ხოლო იმ ძალას, რომლითაც სექსუალური ლტოლვა სულიერ ცხოვრებაში ვლინდება, **ლიბიდოს** ვუწოდებთ.

გამოცდილებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ნერვულ დაავადებათა გაგებისთვის სექსუალურ ლტოლვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და რომ ნევროზი სექსუალური ფუნქციის სპეციფიკური დაავადებაა. ნევროზი ლიბიდოს რაოდენობაზე, მის დაკმაყოფილებასა თუ დაუკმაყოფილებლობაზეა დამოკიდებული. დაავადების ფორმა კი ინდივიდის სექსუალური ფუნქციის განვითარების პროცესის როგორობითა და ლიბიდოს ფიქსირების თავისებურებებით განისაზღვრება. ასე რომ, გვაქვს საშუალება, ჩვენი ტექნიკისა და ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდებით, შევისწავლოთ და აღვკვეთოთ ნევროზის გარკვეული სახეები. ასეთი ნევროზები მე-ლტოლვებსა და სექსუალურ ლტოლვებს შორის კონფლიქტიდან მომდინარეობს. არის შემთხვევები, როდესაც სექსუალური ლტოლვა “მე”-ს ხიფათს უქმნის, აღიქმება ხაფათის სახით, ემუქრება თვითშენახვასა და თვითპატივისცემას. ასეთ შემთხევაში “მე” თავს იცავს, უარს ეუბნება სექსუალურ ლტოლვას და მას აიძულებს

შემოვლითი გზით, ჩანაცვლებით დაკმაყოფილდეს. ეს ჩანაცვლება ნევროტული სიმპტომის სახეს ღებულობს.

ფსიქოანალიზური თერაპია, განდევნის პროცესის რევიზიით, კონფლიქტის გადაწყვეტას თერაპიული გზით აღწევს. უგუნური კრიტიკოსები გვსაყვედურობენ, რომ სექსუალურ ლტოლვას ცალმხრივად ვაფასებთ და ადამიანისთვის დამახასიათებელ, სხვა სახის ინტერესებს არ ვითვალისწინებთ. ამ გარემოებას ჩვენ არც ვივიწყებთ და არც უარვყოფთ. ჩვენი ცალმხრივობა შეიძლება შევადაროთ ქიმიკოსის ცალმხრივობას, რომელიც ყოველ სტრუქტურაში მიზიდულობის ძალას ხედავს, თუმცა მას საკვლევად ფიზიკოსებს გადაულოცავს.

ავადმყოფთან თერაპიული მუშაობის პროცესში ჩვენ ლიბიდოს განაწილებაზე ვზრუნავთ. ვარკვევთ, თუ რომელი თაობის წარმოდგენებთან არის ის დაკავშირებული. ვათავისუფლებთ ლიბიდოს, რათა ის "მე"-ს გადაეცეს განკარგულებაში. ჩვენ დავუშვით, რომ დასაწყისში მთელი ლიბიდო (სექსუალური სწრაფვები და სიყვარულის უნარი მთლიანობაში) საკუთარ პიროვნებასთან კავშირდება; ჩვენი სიტყვებით, ლიბიდო იკავებს "მე"-ს. მხოლოდ მოგვიანებით, მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში ხდება ლიბიდოს გარე ობიექტებზე გადანაცვლება. ამ ობიექტებიდან ლიბიდოს უკანვე შეუძლია შემობრუნება "მე"-ს მიმართულებით.

მდგომარეობას, რომელშიც "მე" ლიბიდოს ინარჩუნებს - **ნარცისიზმი** ვუწოდეთ. ტერმინი დაკავშირებულია ბერძნულ მითთან ჭაბუკი ნარცისის შესახებ, რომელსაც საკუთარი ანარეკლი შეუყვარდა.

მაშასადამე, ინდივიდს მივაწერთ განვითარების პროცესს, რომელიც ნარცისიზმიდან იწყება და ობიექტის სიყვარულით სრულდება. ამავე დროს, არ მიგვაჩნია, რომ "მე"-ს მთელი ლიბიდო ობიექტზე სრულად გადადის. ლიბიდოს გარკვეული ოდენობა და ნარცისიზმის გარკვეული ხარისხიც "მე"-სთან ნარჩუნდება. "მე" დიდი რეზერვუარია, საიდანაც ლიბიდო გაედინება (ობიექტის მიმართულებით) და უკანვე ბრუნდება. ობიექტის ლიბიდო თავიდან "მე"_ ლიბიდო იყო და მას კვლავაც შეუძლია "მე"_ლიბიდოდ ქცევა. ჯანმრთელი ფსიქიკითვის აუცილებელია, რომ ლიბიდოს მოძრაობის აღნიშნული უნარი გააჩნდეს. ანალოგიად განვიხილავთ პროტოპლაზმას, რომლის ბლანტი ნივთიერება ფსევდოპოდიებს (წამონაზარდებს) ან მორჩებს გამოყოფს, რომლებითაც ცოცხალი სუბსტანცია შეიწოვება. ამავე დროს, ფსევდოპოდიების პროტოპლაზმის ბირთვშივე შებრუნება ხდება.

ამ შესავალის შემდეგ მინდა მივუთითო, რომ ზოგადმა ნარცისიზმმა, კაცობრიობის თავმოყვარეობამ, მეცნიერული კვლევის მხრიდან სამი მძიმე შეურაცხყოფა იგემა:

ა) თავდაპირველად ადამიანს სწამდა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი, დედამიწა, სამყაროს ცენტრში უძრავად დგას, ხოლო მზე, მთვარე და პლანეტები დედამიწის გარშემო ორბიტული გზით მოძრაობენ. ამასთან ის გულუბრყვილოდ მისდევდა გრძნობადი აღქმების

შთაბეჭდილებას, ვინაიდან ვერ შეიგრძნობდა დედამიწის მოძრაობას და თავისუფლად, საითაც არ უნდა მიემართა მზერა, თავის თავს ხედავდა იმ წრის ცენტრში, რომელიც სამყაროს აკრავდა. დედამიწის ცენტრალური ადგილი მისთვის გარანტია იყო სამყაროში მბრძანებლის როლისა, და როგორც ჩანს, სავსებით ემთხვეოდა მის მიდრეკილებას თავი ეგრძნო ამა ქვეყნის ბატონად.

ეს ნარცისული ილუზია, ჩვენი აზრით, ნიკოლაი კოპერნიკის სახელსა და შრომებს (მე-16 საუკუნე) უკავშირდება. კოპერნიკამდე დიდი ხნით ადრე, პითაგორელებმა გამოთქვეს ეჭვი დედამიწის უპირატეს ადგილთან დაკავშირებით . ქრისტეს დაბადებამდე მესამე საუკუნეში არისტარქე სამოსელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დედამიწა ბევრად პატარაა მზეზე და ამ ციური სხეულის გარშემო მოძრაობს. ასე რომ, კოპერნიკის დიდი აღმოჩენა ფაქტიურად ბევრად ადრე იყო მომხდარი, მაგრამ სწორედ კოპერნიკმა მოიპოვა საყოველთაო აღიარება. ამით ადამიანის თავმოყვარეობამ პირველი, **კოსმოლოგიური** შეურაცხყოფა განიცადა.

ბ)კულტურული განვითარების პროცესში ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათა ბატონი გახდა. მაგრამ ამ ბატონობით უკმაყოფილომ, მან უფსკრულის გათხრა დაიწყო მათსა და საკუთარ თავს შორის. მან წაართვა ცხოველებს გონება, თვითონ კი უკვდავი სული მიისაკუთრა, თავისთვის მოუხმო მაღალ ღვთიურ წარმომავლობას და ამით ერთობის კავშირი გაწყვიტა ცხოველთა სამყაროსთან. აღსანიშნავია, რომ ეს ქედმაღლობა უცხოა როგორც პატარა ბავშვისთვის, ისე პრიმიტივისა და პირველყოფილი ადამიანისათვისაც. ის განვითარების შედეგია. ტოტემიზმის საფეხურზე პრიმიტიული ადამიანი საძრახისად არ თვლიდა თავისი ტომის წინაპრად ცხოველი ჩაეთვალა. მითი, რომელიც ამ ძველი აზროვნების ნაშთს შეიცავს, ღმერთების მიერ ცხოველთა სახის მიღებას უშვებს და ადრეული დროის ხელოვნებაც ღმერთებს ცხოველთა თავებით გამოსახავს. ბავშვი განსხვავებას ვერ გრძნობს საკუთარსა და ცხოველის არსებას შორის. ზღაპარში ბავშვი ცხოველს განცვიფრების გარეშე მიაწერს აზროვნებასა და მეტყველებას, ხოლო მამის მიერ გამოწვეული შიშის აფექტს ძაღლს ანდა ცხენს მიაწერს, მამის დამცირების განზრახვის გარეშე. მხოლოდ მერე, როდესაც იზრდება, ცხოველისაგან ისე უცხოვდება, რომ, დამცირების მიზნით. ადამიანს ცხოველის სახელი შეუძლია უწოდოს.

ცნობილია, რომ ჩ. დარვინის, მისი თანამშრომლებისა და წინამორბედების გამოკვლევებმა ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნით ადრე შეამზადეს ადამიანის ქედმაღლობის დასასრული. ადამიანი არ წარმოადგენს სხვა არაფერსა და უკეთესს, თუ არა ცხოველს; ის წარმოიშვა ცხოველთა რიგიდან და მეტნაკლებად ენათესავება მათ სხვადასხვა სახეობას. მეცნიერების ახალმა მონაპოვარმა ვერ შეძლო მსგავსების მაჩვენებელთა უარყოფა, როგორც სხეულის სტრუქტურის, ასევე სულიერი თავისებურებების თვალსაზრისითაც. ეს ადამიანის ნარცისიზმის მეორე, **ბიოლოგიური** შეურაცხყოფაა.

გ) ალბათ, ყველაზე მტკივნეული მესამე, **ფსიქოლოგიური** ბუნების შეურაცხყოფაა. ადამიანი, გარედან დამცირებული, თავს სუვერენულად გრძნობს საკუთარ სახლში; მან **„მე“**–ს

ბირთვში შექმნა მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს საკუთარ სულიერ მოძრაობებსა თუ ქცევებს და აკონტროლებს, რამდენად შეესაბამებიან ისინი მის მოთხოვნებს. თუკი ეს ასე არაა, ხდება მათი შეკავება და დათრგუნვა. შინაგანი აღქმა და ცნობიერება „მე“-ს ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ მოახსენებენ და ნებაც „მე“-ს ბრძანებებს განახორციელებს; ცვლის მას, რაც “მე”-სგან დამოუკიდებლად წარიმართება. ფსიქიკას რთული სტრუქტურა აქვს; ის იერარქიული წყობისაა. იმ ურთიერთსაპირისპირო იმპულსების სიმრავლეა, რომლებიც განხორციელებას ესწრაფვიან. ამ ურთიერთსაპირისპირო იმპულსების ფუნქციონირებისთვის საჭიროა, რომ უმაღლესი ინსტანცია დროულად იღებდეს ინფორმაციას, ასევე ნებელობაც ახდენდეს ზემოქმედებას. ჩვეულებრივ, „მე“ საიმედოდ ფუნქციონირებს; ის იღებს სრულ ინფორმაციას და აგზავნის განკარგულებას.

განსხვავებულად არის საქმე გარკვეული დაავადებების და, რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ შესწავლილი ნევროზების შემთხვევაში; „მე“ თავს უხერხულად გრძნობს საკუთარ სახლში - სულში, მისი ძალაუფლება საზღვრებს აწყდება. უცებ აღმოცენდება ისეთი აზრები, რომელთა შესახებაც მან არაფერი იცის და არც მათი განდევნა შეუძლია. ეს უცხო სტუმრები უფრო ძლიერნი ჩანან, ვიდრე „მე“-ს დაქვემდებარებული ფენომენები; ისინი უპირისპირდებიან ნებას და მის ხელთ არსებულ მექანიზმებს. „მე“ მათ უარყოფს, როგორც უცხო წარმონაქმნებს და უფრთხის მათ. „მე“აჯერებს საკუთარ თავს, რომ ეს ავადმყოფაბაა, უცხოს შემოჭრაა; „მე“ დაცვით მექანიზმებს აძლიერებს, მაგრამ არ ესმის, თუ რატომ არის ასე უნარწართმეული.

კამათს იწვევს შემთხვევები, როდესაც სულიერ ცხოვრებაში უცხო, უზნეო ძალები შემოიჭრებიან ხოლმე. ჩვეულებრივ, ასეთ დროს ფსიქიატრია მხოლოდ მხრებს იჩეჩავს და აცხადებს: დეგენერაცია, მემკვიდრეობითი დისპოზიცია, კონსტიტუციონალური სისუსტე! ფსიქოანალიზი ცდილობს ახსნას აღნიშნული უცნაური დარღვევები. ის მიმართავს გულმოდგინე და ხანგრძლივ კვლევას, ქმნის დამხმარე ცნებებსა და მეცნიერულ კონსტრუქციებს და ბოლოს, მას შეუძლია „მე“-ს ასე მიუგოს: „შენში არაფერი უცხო არ მომხდარა; შენი საკუთარი სულიერი ცხოვრების ერთი ნაწილი ხელიდან გაუსხლტა გონებისა და ნებისყოფის ბატონობას, ამიტომაც ვერ იცავ თავს. შენი ერთი ნაწილი მეორეს ებრძვის და არ შეგიძლია, როგორც გარე მტრის შემთხვევაში, მთელი ძალები მოიკრიბო. იშვიათად არ ხდება, როდესაც სულიერ ძალებს შორის ყველაზე უმნიშვნელო ან მიუღებელი გიპირისპირდება და შენგან განცალკევებას ცდილობს. ამაში შენვე ხარ დამნაშავე. შენ გადააფასე საკუთარი შესაძლებლობები, როცა ირწმუნე, რომ სექსუალური ლტოლვების მართვა შეგეძლო და მათ სურვილს ოდნავადაც არ უწევდი ანგარიშს. ამიტომ აჯანყდნენ და წავიდნენ საკუთარი ბნელი გზით, რათა დათრგუნვისაგან განთავისუფლებულიყვნენ. მათ მოიპოვეს უფლებები შენგან დამოუკიდებლად. და თუ როგორ მიაღწიეს ამას და რა გზით წავიდნენ, შენთვის უცნობია. შენს შეგნებამდე მხოლოდ ამ პროცესის შედეგი, სიმპტომი აღწევს, რომელსაც ავადმყოფობის სახით განიცდი. შენ ვერ სცნობ მას, როგორც საკუთარი

გადევნილი ლტოლვების პროდუქტს და არ იცი, რომ სიმპტომი ლტოლვების ჩანაცვლებით დაკმაყოფილებაა.

შენ დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი იცი, რაც შენს სულში ხდება, ვინაიდან ცნობიერება ამის თაობაზე მოგახსენებს. თუკი რაიმეს შესახებ ცნობა არ მიგიღია, მაშინ დარწმუნებით უშვებ, რომ არც არაფერი მომხდარა. დიახ, შენ ისე შორს მიდიხარ, რომ „სულიერს“ „ცნობიერთან” აიგივებ. ნება დამრთე ამასთან დაკავშირებით ერთი რამ გასწავლო! შენი სულიერი არ ემთხვევა ცნობიერს; შენს სულში მიმდინარე მოვლენა ყოველთვის არ განიცდება და გამოცდილებაში ყოველთვის არ გეძლევა. უფლება გაქვს ილუზიაში იყო, რომ მნიშვნელოვანს განიცდი. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, ლტოლვათა კომპლექსის დროს, ცნობიერის სამსახური უარს ამბობს და მაშინ შენი ნება ცოდნის მიღმა არ ვრცელდება. ყველა შემთხვევაში ცნობიერი არაა სრულყოფილი და სარწმუნო. ასევე, ხშირად ცნობიერი მაშინ იღებს ცნობებს პროცესთა შესახებ, როდესაც ისინი უკვე განხორციელებულია და მათზე ზემოქმედება შეუძლებელი. მაშ, როგორღა შეძლებ განსაზღვრო ის, რაც განცდაში არ გაქვს ან რაც არასწორად იცი? მონარქივით კმაყოფილდები კარის მსახურთა ინფორმაციით და არ მიდიხარ ხალხთან, რათა მათი ხმა გაიგონო. შეაღწიე საკუთარ სიღრმეებში და გაიცანი საკუთარი თავი. შემდეგ გაიგებ, თუ რატომ გელის ავადმყოფობა და, ალბათ, თავიდანაც აიცილებ მას. “

ჩვენ სრულად ვერ ვთოკავთ სექსუალურ ლტოლვებს. სულიერი პროცესები არაცნობიერია და “მე” მხოლოდ არასრულყოფილად, არაზუსტად აღიქვამს მათ და ექვემდებარება. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **„მე“ არაა ბატონი საკუთარ სახლში**. ეს არის მესამე დარტყმა ადამიანის თავმოყვარეობაზე, რომლისთვისაც შემეძლო მეწოდებინა **ფსიქოლოგიური.** აქედან გამომდინარე არაფერია გასაკვირი, რომ „მე“ ფსიქოანალიზს არ მიმართავს და ჯიუტად უარყოფს მას.

ცოტა ვინმე თუ ხვდება, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა მეცნიერებისა თუ ყოველდღიური ცხოვრებისთვის საბედისწერო ნაბიჯს - არაცნობიერი სულიერი პროცესების დაშვებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველად ეს ნაბიჯი ფსიქოანალიზს არ გადაუდგამს. ეს გაბედეს ცნობილმა ფილოსოფოსებმა, როგორც წინამორბედებმა. მათ შორის უპირველესად დიდმა მოაზროვნე შოპენჰაუერმა, რომლის არაცნობიერი „ნება“ ფსიქოანალიზის ფსიქიკურ ლტოლვებს უტოლდება. ამავე მოაზროვნემ ადამიანებს სექსუალური ლტოლვების ჯერ კიდევ არაჯეროვნად შეფასებული მნიშვნელობა შეახსენა. ფსიქოანალიზის უპირატესობა იმაშია, რომ ის ნარცისიზმისთვის ორ მტანჯველ დებულებას - სექსუალობის ფსიქიკურ მნიშვნელობასა და სულიერი ცხოვრების არაცნობიერობას აბსტრაქტულად კი არ ამტკიცებს, არამედ შესაბამისი მასალით ასაბუთებს. სწორედ ამიტომ წარმოშობს ის საკუთარი თავის მიმართ სიძულვილს, წინააღმდეგობას და ჯერ კიდევ თავს არიდებს ფილოსოფოსის დიად სახელს.

ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევი

(1923)[1]

I

ფსიქოანალიზი, შეიძლება ითქვას, მეოცე საუკუნესთან ერთად დაიბადა. ის ქვეყანას მოევლინა პუბლიკაციით „ჩემი სიზმრის ინტერპრეტაცია“, რომელიც 1900 წლით თარიღდება. მაგრამ ფსიქოანალიზი, თავისთავად ნათელია, ქვესკნელიდან არ ამოხეთქილა ან ზეციდან არ ჩამოვარდნილა. ის დაკავშირებულია ძველთან და მისი გაგრძელებაა.

ფსიქოანალიზი მჭიდროდ შემოსაზღვრულ ნიადაგზე აღმოცენდა. თავდაპირველად მას მხოლოდ ერთი მიზანი გააჩნდა. კერძოდ, რაიმე გაეგო ეგრეთწოდებულ „ფუნქციონალურ“ ნერვულ დაავადებათა ბუნების შესახებ, რათა მათ მიმართ “სამედიცინო უძლურება” დაეძლია. ამ დროის ფიზიკო-ქიმიური და პათ-ანატომიური ფაქტებისადმი დიდი პატივცემით აღზრდილი ნევროლოგები ჰიტციგისა და ფრიჩის, გერარის, გოლცისა და სხვათა მონაცემების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს მეცნიერები გარკვეული ფსიქიკური ფუნქციების ტვინის განსაზღვრულ უბნებთან კავშირს ასაბუთებდნენ. ფსიქიკური ასპექტი იგნორირებული იყო. მეცნიერებას არ შეეძლო მისი წვდომა და ის ფილოსოფოსებს, მისტიკოსებსა და შარლატანებს გადაულოცეს. არამეცნიერულად თვლიდნენ მის განხილვასაც კი. შესაბამისად, არ იყო გახსნილი ნევროზების, და უპირველეს ყოვლისა, ისტერიის საიდუმლო. ჯერ კიდევ 1885 წელს, სალპეტრიერში ჩემი პრაქტიკის დროს ისტერიული დამბლის შემთხვევაში ასეთი ფორმულირებით კმაყოფილდებოდნენ – ეს ტვინის უბნების მარტივი ფუნქციონალური დარღვევაა, რომელთა მძიმე დაზიანებაც ორგანულ დამბლას იწვევს.

[1] ზ. ფროიდის აღნიშნული ნაშრომი 1923 წლის ოქტომბერ–ნოემბერში დაიწერა „ენციკლოპედია ბრიტანიკასთვის“. ამ ნაშრომის ავტორისეული თარგმანი ინგლისურ ენაზე პირველად 1924 წელს გამოქვეყნდა სათაურით „Psychoanalysis”, გერმანეულად 1928 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევი“ .

ბუნებრივია, გაგების ნაკლოვანება თერაპიასაც ნაკლოვანს ხდიდა. ის მოიცავდა საერთო გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, წამლებით მკურნალობას და მიზანშეუწონელ, არაეთიკური ხასიათის სულიერი ზემოქმედების ცდებს, როგორიცაა პაციენტის დაშინება, დაცინვა, გაფრთხილება თუ იძულება. ნევროზის სპეციფიკური თერაპიის სახით ელექტრო მეთოდიც იყო გამოყენებული. მაგრამ ვისაც ოდესმე W. Erb - ის აღნიშნული დეტალური დანიშნულება მიუღია, განცვიფრებულა, თუ რა დიდი ადგილი ეთმობა ფანტაზიას თითქოსდა ზუსტ მეცნიერებაში. ვითარების რადიკალური შეცვლა დაიწყო, როდესაც, ოთხმოციან წლებში, ჰიპნოტიზმის ფენომენი ისევ შემოვიდა მედიცინაში, ამჯერად ლიბოს (Liebeault), ბერნჰაიმის (Bernheim) ჰაიდენჰაინის (Haidenhail) და ფორელის (Forel) ნაშრომების წყალობით. უპირველეს ყოვლისა, ამ მოვლენების უტყუარობა აღიარეს. შემდეგ ჰიპნოტიზმიდან ორი ფუძემდებლური და საგულისხმო დებულება გამოიყვენეს: ჯერ ერთი დარწმუნდნენ, რომ უცნაური სხეულებრივი ცვლილებები იმ ძლიერი ზემოქმედების შედეგი იყო, რომელსაც თავად მიმართავდნენ. მეორეც, ჰიპნოზის შემდეგ ცდის პირების ქცევიდან იღებდნენ ისეთი სულიერი პროცესების არსებობის ფაქტს, რასაც მხოლოდ "არაცნობიერი" შეიძლება ეწოდოს. "არაცნობიერი" დიდი ხნის მანძილზე ფილოსოფიის სადისკუსიო თეორიული ცნება იყო, მაგრამ ჰიპნოტიზმის შემთხევაში ის პირველად გახდა ექსპერიმენტების ცოცხალი და ხელშესახები ობიექტი. ამასთან, ჰიპნოტური ფენომენები ზოგიერთ ნევროტულ სიმპტომთანაც ავლენდნენ მსგავსებას.

ადვილი არაა გადააფასო ჰიპნოტიზმის მნიშვნელობა ფსიქოანალიზის ჩამოყალიბების პროცესში. როგორც თეორიული, ისე თერაპიული თვალსაზრისით, ფსიქოანალიზი ჰიპნოტიზმის მემკვიდრეა.

ნევროზებისა და, პირველ რიგში, ისტერიის შესწავლის საქმეში ჰიპნოზი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. უნდა აღინიშნოს შარკოს (Charcot) ცდები. შარკო ვარაუდობდა, რომ უბედური შემთხვევის შედეგად გაჩენილი გარკვეული ტიპის დამბლა ისტერიული ბენებისაა და ჰიპნოზში, ტრავმის შთაგონების გზით, დამბლის ხელოვნურად გამოწვევა არის შესაძლებელი. ველოდით, რომ ტრავმული ზემოქმედებები განმსაზღვრელ როლს ითამაშებდნენ ზოგადად ისტერიული სიმპტომების აღმოცენებაში. თავად შარკო არ ცდილა ისტერიული ნევროზის ფსიქოლოგიურ გაგებას, მაგრამ მისმა მოწაფემ პ. ჟანემ მისი შეხედულებები გაითვალისწინა და ჰიპონოტიზმის დახმარებით შეძლო ეჩვენებინა, რომ ისტერიის გამოვლინებანი გარკვეულ არაცნობიერ აზრებთან არის (ideus fixes) მტკიცე კავშირში. ჟანეს ისტერია ესმოდა, როგორც სულიერ პროცესთა გამთლიანების კონსტიტუაციონალური უუნარობა, რომელიც სულიერი ცხოვრების დაშლის (დისოციაციის) მიზეზი ხდება.

ფსიქოანალიზი არაა პიდაპირ კავშირში ჟანეს გამოკვლევებთან. მისთვის ბიძგის მიმცემი ვენელი ექიმის, დოქტორ იოზეფ ბროიერის (Breuer) გამოცდილება გახდა. 1881 წელს, სრულიად დამოუკიდებლად, ბროიერმა ჰიპნოზის გამოყენებით შეისწავლა და განკურნა ისტერიით დაავადებული მაღალნიჭიერი გოგონა. ბროიერის შედეგები მხოლოდ

თხუთმეტი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, ფროიდთან მისი თანამშრომლობის შემდეგ. . . აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რაში მდგომარეობს ბროიერის შემთხვევის თავისებურება. გოგონა საყვარელი მამის მოვლის დროს დაავადდა. ბროიერმა აჩვენა, რომ დაავადების ყველა სიმპტომი ავადმყოფი მამის მოვლას უკავშირდებოდა და მისით აიხსნებოდა. ასე მოხდა პირველად იდუმალი ნევროზის შესწავლა და ავადმყოფობის სიმპტომებს გარკვეული აზრი და მნიშვნელობა მიენიჭა. სიმპტომების თავისებურება იყო, რომ ისინი მოქმედებისადმი იმპულს შეიცავდნენ, მაგრამ ითრგუნებოდნენ. განუხორციელებელი ქცევითი აქტების ადგილზე ისტერიული სიმპტომები აღმოცენდნენ. ასე რომ, ისტერიული სიმპტომების ეთიოლოგიაში გრძნობების (აფექტურობისა) და სულიერი ძალების მოქმედების (დინამიზმის) მნიშვნელობას გაესვა ხაზი. ეს თვალსაზრისი შემდგომშიც მისაღები აღმოჩნდა.

სიმპტომების აღმოცენების მიზეზი ბროიერმა შარკოს ტრავმებს გაუტოლა. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ აღნიშნული ტრავმატული მიზეზებისა და მათთან დაკავშირებული სულიერი პროცესების გახსენება ვერ ხერხდება; თითქოს ისინი არც მომხდარიყვნენ. და ეს მაშინ, როდესაც მათი შედეგები ანუ სიმპტომები, უცვლელად განაგრძობენ არსებობას ისე, თითქოს მათზე დროს არც კი მოეხდინოს ზემოქმედება. ასე რომ, პოსტჰიპნოზური შთაგონების ანალოგიურად, არაცნობიერი (და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით ძლიერი) სულიერი პროცესების არსებობას ახალი დასაბუთება მოენახა. ბროიერის თერაპია შემდეგში მდგომარეობდა; მას ავადმყოფები ჰიპნოზში გადაჰყავდა, რათა დავიწყებული ტრავმები გაეხსენებინათ და მათზე ძლიერი აფექტური რეაქციით ეპასუხათ. ამის შემდეგ სიმპტომები ქრებოდა. აღნიშნული მეთოდი, ასევე, ვნების კვლევასა და დათრგუნვას ემსახურება, რასაც გვიანდელმა ფსიქოანალიზმა მიმართა.

ოთხმოცდაათი წლების პირველ ნახევარში ფროიდმა ავადმყოფთა დიდ რაოდენობაზე დაადასტურა ბროიერის შედეგები. ბროიერმა და ფროიდმა გამოცდილება და მასზე დაფუძნებული თეორია ერთობლივ ნაშრომში (Studien ueber Histerie, 1895) წარმოადგინეს. ავტორების მიხედვით, ისტერიული სიმპტომი მაშინ აღმოცენდება, როდესაც აფექტურად დამუხტული სულიერი პროცესი განიდევნება და ამით მახინჯდება. ისტერიის შემთხვევაში ის სხეულის ინვერსიაში (კონვერსია) გადადის. მაგრამ ჰიპნოზში განცდის გაცოცხლების გზით მისი მიმართულების შეცვლა და ამოწურვა ხდება შესაძლებელი. ამ მეთოდს ავტორები კათარზისს (განწმენდა, შენახული აფექტებისგან განთავისუფლება) უწოდებენ.

კათარზისული მეთოდი ფსიქოანალიზის უშუალო წინამორბედია და მუდამ რჩება მის გულად. ეს მეთოდი გარკვეული ნევროტული დაავადებების თერაპიის ახალი გზაა და არაა გასაკვირი, რომ ის საერთო ინტერესისა და მძაფრი წინააღმდეგობის საგნად იქცა.

II

მალევე, “Studien ueber Histerie”-ს გამოქვეყნების შემდეგ, ფროიდსა და ბროიერს შორის თანამშრომლობა შეწყდა. ბროიერმა, როგორც ინტერნისტმა, უარი თქვა ავადმყოფთა მკურნალობაზე. ფროიდმა კოლეგის მიერ გადმოცემული მეთოდის დახვეწა სცადა; მის მიერ შემოტანილმა ტექნიკურმა სიახლეებმა კათარზისული მეთოდი ფსიქოანალიზად აქციეს. ამ მხრივ, ფროიდის მიერ ჰიპნოზზე უარის თქმა გარდამტეხი აღმოჩნდა. ეს ორი მოტივით მოხდა; პირველი, სასწავლო კურსის მიუხედავად, ფროიდმა ნანსში ბერნჰაიმთან ვერ მიაღწია ჰიპნოზს პაციენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობის შემთხვევაში და მეორე _ აღმოჩნდა, რომ ჰიპნოზზე დამყარებული კათარზისული შედეგი მტკიცე არაა და დიდად არის დამოკიდებული ექიმსა და პაციენტს შორის პიროვნულ დამოკიდებულებაზე. ჰიპნოზზე უარის თქმა გარდატეხასა და ახლის ძიებას ნიშნავდა.

ჰიპნოზი, დავიწყებულის ცნობიერ მოგონებად გარდაქმნის თვალსაზრისით, დიდ დახმარებას გვიწევდა, მაგრამ ის ახლა სხვა ტექნიკით უნდა შეგვეცვალა. ფროიდს აზრად მოუვიდა ჰიპნოზის ნაცვლად თავისუფალი ასოციაციის მეთოდი გამოეყენებინა; ავადმყოფებს აიძულებდა უკუეგდოთ ყველა ცნობიერი აზრი, მისცემოდნენ მშვიდ კონცენტრაციასა და სპონტანური (არაცნობიერი) აზრების მდინარებას. თავში უეცრად მოსული აზრები უნდა გაეზიარებინათ მკურნალისთვის მაშინაც კი, როდესაც ისინი მიუღებელნი ჩანდნენ (მაგალითად, როგორც არასასიამოვნო, უაზრო, უმნიშვნელო აზრები) და მაშინაც, როდესაც აზრი საქმეს არ ეხებოდა. დავიწყებული არაცნობიერის კვლევის მიზნით თავისუფალი ასოციაციის მეთოდის შერჩევა განმარტებებს საჭიროებს. . . “ძირითადი ანალიზური წესის” დაცვითა და თავისუფალი ასოციაციის გამოყენებით უეცრად მოსული აზრების მდიდარ მასალას ვიღებთ, რომლებსაც დავიწყებულის კვალთან მივყავართ. ამ მასალას, მართალია, თავად დავიწყებული არ მოაქვს, მაგრამ მასზე ისეთ მკაფიო და მდიდარ მითითებებს იძლევა, რომ მკურნალს, გარკვეული შევსებითა და ინტერპრეტაციით, მისგან დავიწყებულის ამოცნობა (მისი რეკონსტრუქცია) შეუძლია. დღეს თავისუფალი ასოციაცია და ინტერპრეტაცია იმავე როლს ასრულებს, რასაც ადრე ჰიპნოზის ფენომენი. როგორც ჩანს, ამით სამუშაო გავირთულეთ. მაგრამ ფასდაუდებელი სარგებლობაც მივიღეთ, რადგანაც გვაქვს შესაძლებლობა გავეცნოთ იმ ძალთა მოძრაობას, რომელთა შესწავლაც ჰიპნოზის გამოყენებით შეუძლებელია. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ პათოგენური დავიწყებულის აღმოჩენისთვის გაწეულმა მუშაობამ თავი უნდა დაიცვას მუდმივი და ინტენსიური წინააღმდეგობისაგან. ამ წინააღმდეგობის გაწევის გამოვლინებებია პაციენტთა კრიტიკული შეპასუხებანი, რომლითაც ისინი აღმოცენებული აზრების გაზიარებას ეწინააღმდეგებიან. ეს პროცესი ანალიზს უპირისპირდება. სწორედ წინააღმდეგობის ფენომენის აღიარებიდან მომდინარეობს ნევროზის ფსიქოანალიზური მოძღვრების ქვაკუთხედი _ განდევნის თეორია. ახლოს ვიყავით დაშვებასთან, რომ ის ძალები, რომლებიც აწმყოში ეწინააღმდეგებოდნენ პათოგენური მასალის გაცნობიერებას,

ადრე წარმატებით ვლინდებოდნენ; ნევროტული სიმპტომის ეთიოლოგიაში ამოსავსები იყო ხარვეზი. წარმოდგენები და სწრაფვები, რომელთათვისაც სიმპტომი შენაცვლებას წარმოადგენდა, არ იყვნენ საფუძველს მოკლებულნი ანდა, სინთეზისადმი კონსტიტუციონალური უუნარობის გამო, როგორც ამას ჟანე თვლიდა, დავიწყებულნი. მათ სხვა სულიერი ძალების ზემოქმედება განიცადეს, რომელთა შედეგი და ნიშანი სწორედ რომ ცნობიერებაში მათი შეჩერება და მოგონებიდან გათიშვა იყო. სწორედ ამ განდევნის შედეგად გახდნენ ისინი პათოლოგიურნი _ მიიღეს უჩვეულო გამოხატულება, როგორც სიმპტომებმა.

განდევნის მოტივად და ამით, ყოველი ნევროტული დაავადების მიზეზად სულიერ ლტოლვათა ორ ჯგუფს შორის კონფლიქტი უნდა ჩაგვეთვალა. გამოცდილებამ გვიჩვენა ერთმანეთთან მებრძოლი ძალების სრულიად ახალი და საკვირველი ფაქტი. განდევნა დაავადებულის ცნობიერი პიროვნებიდან (“მე”-დან) კანონზომიერად მომდინარეობს და ეთიკურსა და ესთეტიკურ მოტივებს ემყარება. განდევნა ეგოისტურსა და აგრესიულ ლტოლვებსაც ეხება, რომლებიც შეიძლება ბოროტების სახელითაც გაერთიანდნენ. აქვე შედის მწვავე და აკრძალული სექსუალური სწრაფვებიც. შესაბამისად, ავადმყოფური სიმპტომი აკრძალული დაკმაყოფილების ჩანაცვლებაა, ხოლო ავადმყოფობა _ ამორალურის არასრულყოფილი ძლევა.

შემეცნების წინსვლა სულ უფრო ცხადად აჩვენებს, თუ რა დიდ როლს თამაშობს სექსუალური ლტოლვა სულიერ ცხოვრებაში. ეს საბაბს იძლევა უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ სექსუალური ლტოლვის ბუნება და განვითარება (იხ. Freud, drei Abhandlungen zur Sexualtheorie, 1905). ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა ემპირიული მონაცემები, რომლებმაც დაადასტურა, რომ ბავშვის პირველი წლების განცდები და კონფლიქტები არნახულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინდივიდის განვითარების პროცესში და მოწიფულობის დროისთვის წარუშლელ დისპოზიციებს ტოვებენ. ასევე აღმოჩნდა (რაც აქამდე მეცნიერების მიერ პრინციპულად იყო იგნორირებული), რომ ინფანტილური სექსუალობა ადრეული ასაკიდანვე ვლინდება როგორც სხეულებრივ რეაქციებში, ისე სულიერ პროცესებშიც. . .

ჰიპნოზის თავისუფალი ასოციაციის ტექნიკით შენაცვლებასთან ერთად ფსიქოანალიზად ბროერის კათარზისის მეთოდიც ჩამოყალიბდა, რომელსაც ერთ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში მხოლოდ ფროიდი მიმართავდა. ფსიქოანალიზი ამ დროის მანძილზე თანდათანობით თეორიად იქცა, რომელიც ნევროტული სიმპტომების აღმოცენების, საზრისისა და განზრახვის შესახებ გვაწვდიდა ცნობებს და საექიმო პრაქტიკისთვის რაციონალურ საფუძველს გვთავაზობდა. მინდა კიდევ ერთხელ მოვუყარო თავი ასპექტებს, რომლებიც თეორიის შინაარსს შეადგენენ, ესენია: ლტოლვაზე (აფექტზე) ხასგასმა; სულიერი დინამიკა, უწყვეტი საზრისიანობა და დეტერმინაცია, მოძღვრება ფსიქიკური კონფლიქტისა და განდევნის პათოგენური ბუნების შესახებ, ავადმყოფური სიმპტომის, როგორც ჩანაცვლებითი დაკმაყოფილების გაგება, სექსუალური ცხოვრების ეთიოლოგიური მნიშვნელობა, ბავშობის ხანის სექსუალობის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ფილოსოფიური პოზიციიდან, თეორიას უნდა დაეშვა, რომ სულიერი არ ემთხვევა

ცნობიერს, რომ სულიერი პროცესები თავისთავად არაცნობიერია და მხოლოდ განსაკუთრებული ორგანოს (ინსტანციის, სისტემის) მოქმედებით ცნობიერდებიან. ამ ჩამონათვალის შევსების მიზნით დავუმატებ, რომ ბავშვობის აფექტური განწყობის ზეწოლით მშობლებისადმი რთული ემოციური დამოკიდებულება აღინიშნება, ე.წ. იოდიპოსის კომპლექსი, რომელშიც მუდამ ცხადად შეიმჩნევა ნევროზის გული. ასევე, ავადმყოფის ქცევაში მკურნალის წინააღმდეგ გრძნობის გადატანა ვლინდება. მითითებულ ასპექტებს როგორც თეორიის, ისე ტექნიკისთვის ერთნაირად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნევროზის ფსიქოანალიზური თეორია გაბატონებულ შეხედულებებს უპირისპირდება და ამით გაოცების, ანტიპათიისა და ეჭვის გამოწვევა შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება არაცნობიერის პრობლემისადმი პოზიცია, ბავშვის სექსუალობის აღიარება და, საზოგადოდ, მთელს ფსიქიკურ ცხოვრებაში სექსუალურ მომენტზე ხაზგასმა.

III

აკრძალული სურვილის მტკივნეულ სიმპტომად გარდაქმნის (ისტერიული გოგონას შემთხვევა) გაგებისათვის უნდა წარმოგვედგინა, ასევე, ფსიქიკური აპარატის სტრუქტურისა და მუშაობის შესახებ ზოგადი დებულებებიც. ფსიქოანალიზის დებულებები უნდა მუშაობდნენ როგორც ისტერიის, ასევე სხვა ფსიქიკურ მოვლენათა განხილვის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ფსიქოანალიზი მხოლოდ ნევროლოგიისთვის არ იქნება საინტერესო და ზოგადად, ფსიქოლოგიური კვლევის (როგორც პათოლოგიის, ასევე ნორმის შემთხვევაში) ყურადღების ფოკუსში მოექცევა.

ნევროტული სულიერი პროცესების გარდა, ფსიქოანალიზმა, ასევე, ორი ნორმალური ფენომენიც იკვლია. როგორიცაა ხშირი და ყოველდღიური შეცდომები მოქმედებაში, დავიწყებასა თუ წამოცდენაში და ჯანმრთელი, ფსიქიკურად ნორმალური ადამიანის სიზმარი. მცირე შეცდომითი მოქმედებები, მაგალითად ცნობილია საკუთარი სახელების დროებითი დავიწყება, წამოცდენა, შეცდომით წერა და სხვ. აქამდე საერთოდ ახსნის ღირსად არ ითვლებოდა ანდა მათ დაღლილობითა და ყურადღების გადატანით ხსნიდნენ. “ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოლოგიაში” (1901) ფროიდმა მრავალი მაგალითით დაამტკიცა, რომ ასეთი ცდომილებანი ღრმა აზრის მქონეა და ცნობიერი ინტენციის დარღვევით, სხვა დათრგუნული შინაარსებიდან და ხშირად პირდაპირ არაცნობიერიდან აღმოცენდება. უმრავლეს შემთხვევაში საკმარისია წამიერი დაფიქრება ან ხანმოკლე ანალიზი, რათა ხელისშემშლელი ზეგავლენა მიგნებულ იქნეს. იმგვარი მცდარი მოქმედებების სიმრავლე, როგორიცაა წამოცდენა, ხშირია და იმ არაცნობიერი პროცესების არსებობაში გვარწმუნებს, რომლებიც შეკავებისა და სხვა, განზრახული აქტების მოდიფიკაციების სახით ვლინდებიან.

შემდგომ მივმართეთ სიზმრების კვლევას და 1900 წელს გამოვაქვეყნეთ ნაშრომი „სიზმრის ანალიზი“. ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, სიზმარი ნევროტული სიმპტომის მსგავსია; ის შეიძლება უცხო და უაზრო გვეჩვენოს. მაგრამ თუკი მას ფსიქოანალიზში გამოყენებული თავისუფალი ასოციაციის მეთოდით შევისწავლით, მაშინ სიზმრის მანიფესტურ შინაარსში ფარულ აზრს მივაკვლევთ. ეს ლატენტური აზრი ყოველთვის სურვილია, რომელიც აწმყოში დაკმაყოფილებულად წარმოიდგინება. მაგრამ იდუმალი სურვილი, ბავშვის ანდა იმპერატიული სხეულებრივი მოთხოვნილების შემთხვევაში, აშკარად არასოდეს გამოითქმის. ამიტომაც მას დამახინჯება, როგორც მაცენზურებელი ძალების შემზღუდველი ზემოქმედება ანდა მანიფესტური სიზმარი უნდა მოეხსნას. ცენზურისადმი დათმობით სიზმარი მახინჯდება, თუმცა ანალიზით მასში სურვილის დაკმაყოფილება აშკარავდება. ის კომპრომისია ორი სახის, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ, სულიერ ძალებს შორის. ფორმულა – სიზმარი განდევნილი სურვილის შენიღბული ასრულებაა – საუკეთესოდ ესადაგება სიზმრის ახსნას. იმ პროცესების შესწავლის თვალსაზრისით, რომლებიც სიზმრის ლატენტური სურვილის სიზმრის მანიფესტურ შინაარსად გარდაქმნას ემსახურება (სიზმრის მუშაობა), მართლაც დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა.

სიზმარი არაა ავადმყოფური სიმპტომი, ის ნორმალური სულიერი ცხოვრების შედეგია. სურვილები, რომელთაც ის ასრულებულად წარმოგვიდგენს, ნევროტული განდევნის მიზეზად იქცევიან. სიზმარი თავის აღმოცენებას მხოლოდ იმ ხელსაყრელ გარემოებას უმადლის, როგორიცაა ძილის მდგომარეობაში მოძრაობათა შეკავება და სიზმრის ცენზურის დაქვეითება. თუკი სიზმარი გარკვეულ საზღვრებს გადააბიჯებს, სიზმრის სუბიექტი მას წყვეტს და შეშინებული იღვიძებს. მაშ, დასაბუთდა, რომ ნორმალურ სულიერ ცხოვრებასა და, ასევე, დაავადების დროს ერთი და იგივე ძალები და პროცესები მოქმედებენ. ფსიქოანალიზს ორნაირი მნიშვნელობა აქვს. ის არა მხოლოდ ნევროზის ახალებური თერაპიაა, არამედ ახალი ფსიქოლოგიაც. ის პრეტენზიას აცხადებს ყურადღება მიიქციოს არა მხოლოდ ნევროლოგების მხრიდან, არამედ ყველასგან, ვინც გონისმეცნიერებითაა დაინტერესებული.

ფროიდს გულითადი მიღება როდი მოუწყვეს მეცნიერულ სამყაროში. ათწლეულის მანძილზე მისი ნაშრომები არავის აინტერესებდა. დაახლოებით 1907 წელს შვეიცარელ ფსიქიატრთა ჯგუფმა (ბლოილერი და იუნგი ციურიხში) ფსიქოანალიზს ყურადღება მიაპყრო. აღშფოთების ტალღა განსაკუთრებით გერმანიაში გაღვივდა, რომელიც მოურიდებელი იყო მეთოდებისა და არგუმენტების თვალსაზრისით. ფსიქოანალიზმა არა ერთი სიახლის ბედი გაიზიარა და, გარკვეული დროის შემდეგ, საერთო აღიარება მოიპოვა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად მძაფრი წინააღმდეგობა მისი არსიდანვე მომდინარეობდა. მან შეურაცხყო კულტურული ადამიანების ცრურწმენა ზოგიერთ, განსაკუთრებულად მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით. მან, გარკვეულ წილად, ადამიანები ანალიზურ რეაქციას დაუმორჩილა, როდესაც აღმოაჩინა, რაც საყოველთაოდაა განდევნილი

არაცნობიერში. ის აიძულებდა თანამედროვეებს მოქცეულიყვნენ ავადმყოფებივით, რომლებიც ანალიზური მკურნალობის მიმართ წიმააღმდეგობას ავლენენ.

საერთო მტრობის მიუხედავად, უახლოესი ათწლეულის განმავლობაში ფსიქოანალიზი ორი მიმართულებით გავრცელდა: ერთი _ გეოგრაფიულ რუკაზე; მისადმი ინტერესი ახალ და ახალ ქვეყნებში იღვიძებდა და მეორე _ გონისმეცნიერების სფეროში; ის სხვადასხვა დისციპლინებში გამოიყენებოდა. 1909 წელს პრეზიდენტმა გ. სტენლი ჰოლმა (G. Stanley Hall) კლარკის უნივერსიტეტში (ვორჩესტერი, მასაჩუსეტის შტატი) ფსიქოანალიზში ლექციების წასაკითხად ფროიდი და იუნგი მიიწვია, რის შემდეგაც ფსიქოანალიზი ამერიკაში პოპულარული გახდა. თუმცა, სწორედ ამ ქვეყანაში თეორიის სახელით ბევრი სცოდავდა. უკვე 1911 წელს (გერმანულად 1912 წელს) ჰ. ელისმა (Havelock Ellis) შეძლო წჩვენებინა, რომ ანალიზზე ზრუნავენ და მას სწავლობენ არა მხოლოდ ავსტრიასა და შვეიცარიაში, არამედ შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ინდოეთსა და კანადაში.

დაპირისპირებისა და პირველი აღმავლობის პერიოდში აღმოცენდა ლიტერატურული ორგანოები, რომლებიც ფსიქოანალიზს ემსახურებიან. ესენია: ”Jahrbuch fuer psychoanalytische und psychopathologische Forschungen”, _ გამომცემლები ბროილერი და ფროიდი, რედაქტორი ლენგი (1910-1914), რომლის გამოცემა მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეწყდა. “Zentralblatt fuer Psychoanalyse” (1911), რედაქტორები ადლერი და შტეკელი, რომელიც მალევე შეცვალა ორგანომ “Internationale Zeitschrift fuer Psychoanalyse” (1913). 1912 წლიდან გამოიცემოდა რანკისა და ზახსის მიერ დაფუძნებული “Imago” - ჟურნალი განკუთვნილი ფსიქოანალიზის გონისმეცნიერებაში გამოყენებისათვის. ფსიქოანალიზისადმი ინტერესის გამოვლინება იყო 1913 წელს ანგლოამერიკელი ექიმების მიერ “Psychoanalytic Reviuw”-ს დაფუძნება _ ეს ჟურნალი დღესაც არსებობს. დამფუძნებლები არიან White, Jelliffe. მოგვიანებით, 1920 წელს ინგლისში გამოვიდა “International Journal of Psycho-Analysis”, რედაქტორი ერნსტ ჯონსი (Yones). ანალიზური პუბლიკაციების უწყვეტ რიგს უშვებენ: ინტერნაციონალური ფსიქოანალიზური გამომცემლობა და მისი ინგლისური შესატყვისი წარმოება (Y. PSA. Press)- სახელწოდებით “ინტერნაციონალური ფსიქოანალიზური ბიბლიოთეკა” (I. PSA. Library). ფსიქოანალიზური ლიტერატურა, ასევე, გაფანტულია დიდი რაოდენობით მეცნიერულსა და ლიტერატურულ თხზულებებში. იმ ჟურნალებიდან, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფსიქოანალიზს, გამოვყოფდი ქ. ლიმაში (პერუ) ჰ. დელგადოს მიერ გამოცემულ “Rivista de Psiquiartria”-ს.

პირველი ათწლეულისგან განსხვავებით, მეორე ათწლეულში ფროიდი აღარაა ფსიქოანალიზის ერთადერთი წარმომადგენელი. ფროიდის გარშემო შეიკრიბა მოსწავლეთა და მიმდევართა მზარდი წრე. ისინი ფსიქოანალიზური მოძღვრების გავრცელებისთვის ზრუნავდნენ და მას ავსებდნენ და აღრმავებდნენ. ამავე დროს, ფსიქოანალიზს წლების მანძილზე არა ერთი ჩამოშორდა, რომლებიც საკუთარი გზით წავიდნენ ანდა ოპოზიციაში გადაინაცვლეს, რაც ფსიოქოანალიზის განვითარებისადმი მუქარას შეიცავდა. 1911 _ 1913 წლებში კ. გ. იუნგმა (ციურიხი) და ალფრედ ადლერმა (ვენა), ანალიზური ფაქტების

განსხვავებული ინტერპრეტაციითა და ანალიზიდან თეორიული გადახვევით, გარკვეული შერყევა გამოიწვიეს. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მათ გამოყოფას ხანგრძლივი ზიანი არ მოუტანია. აღნიშნული ავტორების ხანმოკლე წარმატება ადვილად აიხსნება მასის მზადყოფნით განთავისუფლდეს ფსიქოანალიზური მოთხოვნების ზეწოლისაგან. თანამშრომელთა უმრავლესობამ კი მუშაობა ფროიდის მიერ დასახული მიმართულებით გააგრძელა. მათ სახელებს ფსიქოანალიზის შედეგების გადმოცემისას შევხვდებით.

IV

ფსიქოანალიზის ტექნიკა, სხვა სამედიცინო დარგების მსგავსად, სრულყოფილად განვითარდა და ჩამოყალიბდა. შეცდომაში შედიან ისინი, განსაკუთრებით ინგლისსა და ამერიკაში, რომლებიც ამ ფაქტს არ აღიარებენ. ასევე, არასწორია, როდესაც ფსიქოანალიზის შესახებ ცოდნას მხოლოდ წიგნებიდან იღებენ, ყოველგვარი პრაქტიკული მომზადების გარეშე. ამგვარი მოქმედების შედეგი დამღუპველია როგორც მეცნიერებისთვის, ასევე პაციენტებისთვისაც და ხელს უწყობს ფსიქოანალიზის დისკრედიტაციას. ამისდა საპირისპიროდ, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება პირველი ფსიქოანალიზური პოლიკლინიკის გახსნას ბერლინში (1920); ეს დაწესებულება ცდილობს მისაწვდომი გახადოს ანალიზური თერაპია ხალხის ფართო წრისთვის და შესაბამისი სასწავლო კურსით ექიმებს პრაქტიკოს-ანალიტიკოსებად ამზადებს.

დამხმარე ცნებათა შორის, რომლებიც ექიმს ანალიზური მასალის დაუფლების შესაძლებლობას აძლევს, პირველ რიგში „ლიბიდოს“ ცნება უნდა დასახელდეს. ფსიქოანალიზში ლიბიდო ობიექტზე მიმართული სექსუალური ლტოლვის რაოდენობრივად ცვლად და გაზომვად ძალას ნიშნავს (ანალიზური თეორიით გაფართოებული მნიშვნელობა). შემდგომმა კვლევებმა გვაიძულა „ობიექტის“ ლიბიდოს გვერდით საკუთარ „მე“-ზე მიმართული „ნარცისული” ანუ **„მე-ლიბიდო“**-ს არსებობაც დაგვეშვა. ამ ძალების ურთიერთქმედებით შეიძლება შესწავლილი იქნეს სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე, ნორმალური თუ პათოლოგიური, პროცესების დიდი რაოდენობა. მალევე გამოვყავით ნარცისული აფექციებისგან უხეში, ე.წ. “გადატანის ნევროზი”; ისტერია და იძულების ნევროზი ფსიქოანალიზური თერაპიის ძირითადი ობიექტებია, ხოლო ნარცისული ნევროზი _ გარკვეულ, პრინციპულ სიძნელეებს უქმნის თერაპიულ ზემოქმედებას. ფსიქოანალიზის ლიბიდოს თეორია ჯერ კიდევ არ ატარებს დასრულებულ სახეს და მისი მიმართება ლტოლვის ზოგად მოძღვრებასთან ასევე გასარკვევია. ფსიქოანალიზი, მართლაცდა, ახალგაზრდა და განვითარებადი მეცნიერებაა.

აქვე უნდა დავძინოთ, თუ როგორი შეცდომაა, როდესაც ფსიქოანალიზს პანსექსუალიზმს საყვედურობენ. არაა სწორი, როდესაც ყურადღების მიღმა რჩებათ ფსიქოანალიზში აღიარებულ, განსხვავებულ ლტოლვათა მნიშვნელობა და როდესაც ტერმინ "სექსულურს" არა ანალიზური, არამედ ვულგარული მნიშვნელობით მიმართავენ.

ფსიქოანალიზს ნარცისული აფექციებისადმი უნდა მიეკუთვნებინა ის ვნებები, რომელთაც ფსიქიატრიაში "ფუნქციონალური ფსიქოზის" სახით მოიხსენიებენ. უდავოა, რომ ნევროზები და ფსიქოზები არაა ერთმანეთისაგან მკაცრი საზღვრით გამოყოფილი. ასეთივე მიმართებაა ჯანმრთელობასა და ნევროზს შორისაც. ვფიქრობ, რომ გაუგებარი ფსიქოტური ფენომენების ახსნის დროს უნდა მივმართოთ იმ გაგებას, რომელიც გაუმჭვირვალე ნევროზების შემთხვევაში გამოვიყენეთ. ანალიზური გამოკვლევით, ფროიდმა პარანოიდალური დაავადება ნაწილობრივ მაინც გასაგები გახადა და ამ ცალსახა ფსიქოზში იგივე შინაარსები (კომპლექსები) და იგივე ძალთა ურთიერთობა აჩვენა, რაც მანამდე მარტივ ნევროზებში იყო მითითებული. ე. ბლოილერმა ფსიქოზის შემთხვევებში მიუთითა იმ საერთო ნიშანზე, რომელსაც "ფროიდის მექანიზმი" უწოდა, ხოლო კ.გ. იუნგმა 1907 წელს Demencia praecox _ ის უცნაური სიმპტომები ავადმყოფის ინდივიდუალური ცხოვრების ისტორიის საფუძველზე ახსნა, რითაც, როგორც ანალიტიკოსმა, პატივისცემა დაიმსახურა. ფსიქოზებთან დაკავშირებით ფსიქოანალიზის უფლებამოსილება საბოლოოდ ბლოილერის კვლევამ დაადასტურა; შიზოფრენია ფსიქოანალიზის საფუძველზე იქნა შესწავლილი და გაგებული . . .

V

თავდაპირველად ანალიზური კვლევა მხოლოდ ზოგიერთი ავადმყოფური სულიერი მდგომარეობის აღმოცენების (გენეზისის) შესწავლას ისახავდა მიზნად. მაგრამ ამ მცდელობით ფსიქოანალიზმა შეძლო აღმოეჩინა ფუნდამენტალური მნიშვნელობის მიმართებები და ახალი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისთვისაც მიეღწია. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ, მისი მონაპოვარი პათოლოგიის სფეროთი არ შემოიფარგლება. და ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ანალიზური ტექნიკით სიზმრის ინტერპრეტირება. სიზმრისა, რომელიც ნორმალურ სულიერ ცხოვრებას მიეკუთვნება და მაინც შეესატყვისება პათოლოგიურ პროდუქტებს, რომლებიც ჯანმრთელი ფსიქიკის პირობებშიც კანონზომიერად აღმოცენდებიან.

თუ მტკიცედ დავდგებით ფსიქოლოგიურ პოზიციაზე, რომელიც სიზმრის შესწავლისას შევიმუშავეთ, მაშინ მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩება ფსიქოანალიზის, როგორც ღრმა, ცნობიერებისათვის პირდაპირ მიუწვდომელი სულიერი პროცესების შესახებ მოძღვრების, „სიღრმის ფსიქოლოგიად" გამოცხადებისთვის და თითქმის მთელს გონის მეცნიერებაში მისი

გამოყენებისათვის. ამ ნაბიჯით ერთეული ადამიანის სულიერ აქტივობას ვცილდებით და საზოგადოებისა და ხალხების ფსიქიკურ დინამიკაზე გადავინაცლებთ. მაშასადამე, ინდივიდუალური ფსიქოლოგიიდან მრავალი გასაოცარი ანალოგიით მასის ფსიქოლოგიაში გადავდივართ. მაგალითად, ნათელი გახდა, რომ არაცნობიერი გონის მოქმედების ღრმა ფენების მიხედვით, დაპირისპირებულნი ერთმანეთისგან კი არ განსხვავდებიან, არამედ ერთი და იმავე ელემენტით გამოიხატებიან. ენის მკვლევარმა კ. აბელმა უკვე 1884 წელს მიუთითა, (იხ.Ueber den Gegensinn der Urworte), რომ ჩვენთვის ცნობილ უძველეს ენებში ურთიერთ საპირისპირო მოვლენებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აისახება; მაგალითად, ეგვიპტურ ენაში ძლიერისა და სუსტის გამოსახატავად ერთი სიტყვა გამოიყენებოდა და მხოლოდ მოგვიანებით მოხდა საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვათა გამიჯვნა. მსგავსი მოვლენა უახლეს ენებშიც შეინიშნება. ასე მაგალითად, გერმანულში “boden” - სახლის ზედა და ქვედა ნაწილებია, იმის მსგავსად როგორიცაა ლათინურში „altus” - მაღალი და ღრმა. საპირისპიროთა გათანაბრება ადამიანური აზროვნების ზოგადი არქაული თვისებაა, რომელიც სიზმარშიც იჩენს თავს.

მოვიყვანოთ მაგალითი განხვავებული სფეროდან. შეუძლებელი თავი აარიდო მსგავსების შთაბეჭდილებას, რომელიც ავადმყოფური იძულებითი მოქმედებებისა და რელიგიური მოქმედებების შედარების დროს ჩნდება. იძულების ნევროზის ზოგიერთი შემთხვევისას ავადმყოფის მოქმედება გაშარჟებული რელიგიური მოქმედების სახეს იღებს. ეს, რა თქმა აუნდა, მეტად სათაკილო შეედარებაა, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალზე ნაყოფიერი. ფსიქოანალიზისთვის ცნობილი გახდა, თუ რა ძალები უპირისპირდებიან ერთმანეთს იძულების ნევროზში და როგორ იძენს ეს კონფლიქტი საკვირველ გამოხატულებას იძულებითი მოქმედებების ცერემონიალის გზით. არაფერი მსგავსი არ თქმულა რელიგიური ცერემონიალის შესახებ მანამ, სანამ არ მოხდა რელიგიური გრძნობის მამისადმი დამოკიდებულებაზე, როგორც მის ფუნდამენტზე, დაყვანა. ეს მაგალითი მკითხველს არწმუნებს, რომ ფსიქოანალიზის გამოყენებას სამედიცინო სფეროს მიღმა გვერდს ვერ აუვლი. ამავე დროს, ის დიდად ღირებულ ცრურწმენებს არყევს, ღრმა მგრძნობელობას ეხება და ამით, მტრობას იწვევს. მტრობას, რომელსაც არსებითად აფექტური საფუძველი აქვს.

უფლება გვაქვს დავუშვათ არაცნობიერი სულიერი ცხოვრების ისეთი უზოგადესი, უნივერსალური მიმართებების არსებობა, როგორიცაა ლტოლვათა შორის კონფლიქტი და განდევნითა თუ ჩანაცვლებით დაკმაყოფილება. სიღრმის ფსიქოლოგია სწორედ ამ მიმართებების შესწავლას ცდილობს. ფსიქოანალიზის გამოყენება ადამიანის სულიერი მოქმედების მრავალფეროვან სფეროში დღემდე მიუკვლეველი ასპექტების გამოვლენას ხდის შესაძლებელს. ამ ნაკლებად ცნობილი შინაგანი იმპულსების გათვალისწინების გარეშე შეიძლება მცდარად დავუშვათ, რომ ადამიანის კულტურული განვითარების ძრავი გარეგანი, რეალური გარემოებაა, რომელიც ადამიანს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკრძალავს და ამით, ბედის ანაბარად ტოვებს ფრიად სახიფათო

გარემოებაში. გარეგანი აკრძალვა, რომელიც გარემოსთან შეგუებასა და ასევე, გარემოს დაუფლებიდან მომდინარეობს, ადამიანს რეალობასთან ბრძოლას აიძულებს. ეს აკრძალვა ასევე, ადამიანს საკუთარი სახეობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა და თანაცხოვრებისკენაც უბიძგებს. კულტურის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა განდევნის მოთხოვნილებაც. კულტურა ზოგადად ლტოლვის უარყოფაზეა აგებული და ყოველმა ცალკეულმა ინდივიდმა თავის გზაზე, ბავშობიდან მოწიფულობამდე, გონებრივი ადაპტაციის გზით, კაცობრიობის ეს განვითარება უნდა გაიმეოროს. ფსიქოანალიზმა გვიჩვენა, რომ, უპირატესად, სწორედ სექსუალური იმპულსები ექცევიან კულტურული დათრგუნვის ქვეშ. იმპულსის ერთერთი ღირებული თვისება უახლოეს მიზნებზე გადახრაა; ამით „სუბლიმირებული“ ლტოლვა თავის ენერგიას კულტურული განვითარებისთვის იყენებს. იმპულსის მეორე ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება და არაცნობიერიდან დაჟინებით მოითხოვს დაკმაყოფილებას, თუგინდ გაუკუღმართებული გზითაც.

ცხადია, რომ ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ერთი ასპექტი რეალური გარე სამყაროს დაუფლებაზეა მიმართული. ფსიქოანალიზი ამატებს მეორე, სულიერი მოქმედების განსაკუთრებულად შეფასებულ, ასპექტსაც, რომელიც სურვილის ასრულებას ემსახურება; იმ განდევნილი სურვილების ჩანაცვლებით დაკმაყოფილებას, რომლებიც ბავშობის წლებიდან მოყოლებული ყოველი ადამიანის ფსიქიკაში დაკმაყოფილების გარეშეა დარჩენილი. მიუწვდომელ არაცნობიერში მიმდინარე პროცესს მითი, პოეტური შემოქმედება და ხელოვნება უკავშირდება. ფსიქოანალიტიკურმა კვლევებმა მეტი სიცხადე შესძინა მითოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების ფსიქოლოგიის სფეროებს. მაგალითის სახით აქ მხოლოდ ო. რანკის მიღწევას მოვიხსენიებთ. მან აჩვენა, რომ როგორც სიზმარი, ასევე ხელოვნების ნაწარმოებიც არაცნობიერი სურვილის რეალიზაციას უკავშირდება. შემოთავაზებულია ხელოვნების ნაწარმოების აფექტური ზემოქმედების გაგება, ასევე, აღმქმელსა და ხელოვანს შორის მსგავსება და განსხვავება, კავშირი ხელოვანის ლტოლვას, შემთხვევით განცდასა და მხატვრულ ქმნილებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოებისა და მხატვრული ნიჭის შეფასება ფსიქოანალიზის ამოცანებს არ წარმოადგენს, ფსიქოანალიზს ადამიანის ფანტაზიასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია.

ფსიქოანალიზმა შეისწავლა ის თუ, ჩვენდა გასაოცრად, რა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ე.წ. იოდიპოსის კომპლექსი ანუ ბავშვის აფექტური დამოკიდებულება ორივე მშობლის მიმართ. გაოცება კლებულობს, როცა ვიგებთ, რომ იოდიპოსის კომპლექსი ორი ფუნდამენტური ბიოლოგიური მოვლენის ფსიქიკური კორელატია. ეს მოვლენებია: ადამიანის მშობლებისადმი ხანგძლივი ინფანტილური დამოკიდებულება და ის საოცარი ინტენსიური ფორმა (პირველი უმაღლესი მწვერვალი), რომელსაც სექსუალური ცხოვრება სამი-ხუთი წლის ასაკის პერიოდში იღებს, რათა შეკავების პერიოდის შემდეგ, პუბერტეტთან ერთად, ხელახლა გააქტიურდეს. ასევე, ჩამავაყალიბეთ შეხედულება, რომ მესამე, მეტად სერიოზული ასპექტი ადამიანის

ფსიქიკური მოქმედებისა, რომელმაც რელიგიის, სამართლის, ეთიკის დიდი ინსტიტუტები და სახელმწიფოებრიობის ყველა ფორმა შექმნა, არსებითად იქითკენაა მიმართული, რომ ინდივიდმა საკუთარი ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევა შეძლოს და მისმა ლიბიდომ ინფანტილური კავშირებიდან საბოლოოდ, სასურველ სოციალურში გადაინაცვლოს. ფსიქოანალიზი რელიგიის მეცნიერებისა და სოციოლოგიის სფეროში (ზ. ფროიდი, ო. რაიკი, ო. პფისტერი) ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამს. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ შემდგომი კვლევები აამაღლებს მის სანდოობას ამ მიმართულებით.

გვჯერა, რომ ფსიქოანალიზი, რომლის განვითარება და მიღწევები აქ მოკლედ და არასაკმარისად გადმოიცა, მომდევნო ათწლეულში კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი აგენტი გახდება და სამყაროს შემეცნების პროცესში დახმარებას გაგვიწევს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფსიქოანლიზს დამოუკიდებლად არ შეუძლია სამყაროს სრულყოფილი სურათის გადმოცემა. თუკი ჩვენს მოდელს გაითვალისწინებენ, მაშინ სულიერი აპარატის ცნობიერებით შეიარაღებულ “მე”-დ და არაცნობიერ ლტოლვათა მფლობელ “იგი”-დ დაყოფის შესაბამისად, ფსიქოანალიზს უნდა ეწოდოს “იგი”-ს და “ მე”-ზე “იგი”-ს ზემოქმედების ფსიქოლოგია. მაშასადამე, ფსიქოანალიზს წვლილის შეტანა შეუძლია ცოდნის ყოველ იმ სფეროში, რომლებიც “მე”-ს უკავშირდება.

მე და იგი

(1932)

ცნობიერი და არაცნობიერი

ფსიქოანალიზის ძირითადი წანამძღვარი ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკურს შორის სხვაობაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ და მეცნიერულად შევისწავლოთ სულიერ ცხოვრებაში არსებული ხშირი და მნიშვნელოვანი პათოლოგიური პროცესები. კიდევ ერთხელ სხვაგვარდ რომ ვთქვათ, ფსიქოანალიზს არ გადააქვს ფსიქიკურის არსი ცნობიერებაში და ცნობიერებას ფსიქიკურის იმ თვისებად განიხილავს, რომელიც სხვა თვისებებს ან აკლდება და ან ემატება. . . არა ერთ, ფილოსოფიურად განათლებულ ადამიანს, არაცნობიერი ფსიქიკურის იდეა გაუგებრად, აბსურდულად და მარტივ ლოგიკასთან შეუთავსებლად ეჩვენება. ჩემი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ შეუსწავლიათ ჰიპნოზისა და სიზმრის შესატყვისი ფენომენები, რომ აღარაფერი ვთქვათ პათოლოგიურ ფენომენებზე. მათი ცნობიერების ფსიქოლოგია, სიზმრისა და ჰიპნოზის პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით, უუნაროა.

ცნობიერება წმინდა დესკრიფციული ტერმინია, რომელიც უშუალო აღქმას ემყარება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური ელემენტი, მაგალითად, წარმოდგენა, ჩვეულებრივ, არაა ხანგრძლივად ცნობიერი. პირიქით, ცნობიერების მდგომარეობა სწრაფმავალია; ამჟამად ცნობიერი წარმოდგენა მომდევნო მომენტში ასეთი აღარაა და მას კვლავაც შეუძლია ცნობიერი გახდეს. მაგრამ როგორი იყო ის შუალედურ პერიოდში, ამის შესახებ არაფერი ვიცით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის **ლატენტური** და ამასთან, **ცნობიერების უნარის მქონე** იყო. ასევე, თუკი დავძენთ, რომ ის **არაცნობიერია,** მაშინ არაცნობიერი ლატენტური ცნობიერების უნარსაც შეიძენს. ფილოსოფოსები შეგვეპასუხებიან - არა, ტერმინი "არაცნობიერი" აქ არ უნდა იქნეს გამოყენებული; სანამ წარმოდგენა ლატენტურ მდგომარეობაშია, ის, საერთოდაც, არაა ფსიქიკური. ფსიქოანალიზური თეორია ამტკიცებს, რომ წარმოდგენები არ შეიძლება ცნობიერი იყვნენ, თუკი მათ გარკვეული ძალა უპირისპირდება. ამ ძალის გარეშე ისინი შეიძლებოდა ცნობიერი ყოფილიყვნენ. მდგომარეობას, რომელშიც ფენომენი ცნობიერებამდე იმყოფება, განდევნას ვუწოდებთ, ხოლო იმ ძალას, რომელიც **განდევნას** იწვევს და განიცდება ანალიზური მუშაობის დროს - **წინააღმდეგობას.**

მაშ, არაცნობიერის ცნება განდევნის მოძღვრებიდან მომდინარეობს. განდევნილი ჩვენთვის არაცნობიერის ნიმუშია. ამავე დროს, გვაქვს ორგვარი არაცნობიერი - ლატენტური და ცნობიერების უნარის მქონე და განდევნილი, ცნობიერის უნარის არმქონე. ჩვენ ლატენტურს ვუწოდებთ ფენომენს, რომელიც მხოლოდ დესკრიფციული არაცნობიერია და არადინამიკური თავისი მნიშვნელობით; ის ე.წ. **წინაცნობიერია.** მისგან განსხვავებით, არაცნობიერი დინამიკური ბუნებისაა. ასე რომ, ახლა სამი ტერმინი გვაქვს: ცნობიერი (bw),

წინაცნობიერი (vbw) და არაცნობიერი (ubw). ვუშვებთ, რომ წინაცნობიერი, არაცნობიერთან შედარებით, ბევრად ახლოს დგას ცნობიერთან. ვინაიდან არაცნობიერს ფსიქიკური ვუწოდეთ, ასევე მოვიქცევით ლატენტური წინაცნობიერის შემთხვევაშიც. შეგვიძლია ჩვენი სამი ტერმინით - ცნობიერი (bw), წინაცნობიერი (vbw) და არაცნობიერი (ubw) მოხერხებულად ვიხელმძღვანელოთ, თუკი არ დავივიწყებთ რომ, დესკრიფციული თვალსაზრისით, ორგვარი არაცნობიერი არსებობს, ხოლო დინამიკურით - მხოლოდ ერთი[2].

ფსიქოანალიზური მუშაობის მსვლელობისას ირკვევა, რომ ეს სხვაობა არასაკმარისია და პრაქტიკულად არადამაკმაყოფილებელი. ამას ადასტურებს შემდეგი კონკრეტული სიტუაცია; წარმოვიდგინოთ სულიერი პროცესების გამაერთიანებელი ორგანიზაცია და მას ვუწოდოთ „მე“. „მე“-ზეა დამოკიდებული ცნობიერება. ის განაგებს გარე სამყაროში აგზნების განმუხტვის პროცესებს. ის ცალკეული პროცესების მაკონტროლებელი სულიერი ინსტანციაა, რომელიც სიზმრის ცენზურას მართავს. „მე“-დან მომდინარეობს ასევე განდევნის პროცესი, რომლითაც გარკვეული სულიერი ლტოლვა არა მხოლოდ ცნობიერებიდან განიდევნება, არამედ ღირებულებითი და ქცევითი სფეროებიდანაც. განდევნილი შინაარსი ანალიზის პროცესში „მე“-ს უპირისპირდება. ანალიზის ამოცანა ამ დაპირისპირების მოხსნაა. ავადმყოფი სიძნელეებს აწყდება, თუკი ახლად განდევნილს ეხება, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ არაფერი იცის. თვით მაშინაც კი, როდესაც ავადმყოფი უსიამოვნების გრძნობის საფუძველზე უნდა მიხვდეს, რომ მასში წინააღმდეგობა მოქმედებს, იგი ვერ ასახელებს და ვერ მიუთითებს მასზე. რამდენადაც წინააღმდეგობა „მე“-დან მომდინარეობს, ჩვენ თავად „მე“-ში აღმოვაჩინეთ რაღაც, რაც ასევე არაცნობიერია. ის განდევნილის მსგავსად მოქმედებს და, შესაბამისად, ძლიერ ზემოქმედებასაც ახდენს.

არაცნობიერი (ubw) ყოველთვის არ ემთხვევა განდევნილს. განდევნილი არაცნობიერია, მაგრამ ყოველი არაცნობიერი (ubw) არაა განდევნილი. ასევე, „მე“-ს ერთერთი და თანაც, მნიშვნელოვანი ასპექტი შეიძლება არაცნობიერი იყოს. „მე“-ს არაცნობიერი არ წარმოადგენს ლატენტურ წინაცნობიერს (ubw). შესაბამისად, აუცილებელი ხდება ვაღიაროთ მესამე სახის, არა განდევნილი არაცნობიერიც (ubw). უნდა ითქვას, რომ არაცნობიერობის ნიშანი ჩვენთვის მნიშვნელობას კარგავს; ის იმ მრავალმნიშვნელოვან თვისებად იქცევა, რომელიც განსაკუთრებულ შედეგებს ვეღარ გვაძლევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა მის

[2] შეად. Bemerkungen ueber den Begriff des Unbewussten (G.W. VIII). შეფასებას იმსახურებს ახლებური მიდგომა არაცნობიერის კრიტიკაში; მკვლევარები, რომლებიც არ უარყოფენ ფსიქოანალიზურ ფაქტებს, მაგრამ არ სურთ არაცნობიერის ფაქტის მიღება, წარმოადგენენ შეხედულებას, რომ ცნობიერებაც, როგორც ფენომენი, ინტენსივობათა ანდა სიცხადის საფეხურების გრძელი რიგია. . . აქ შემდეგი უნდა ითქვას: ცნობიერების სიცხადის შკალის დასაბუთებას დამაჯერებლობა აკლია . . ასევე, იმ ცნობიერების იდეა, რომლის შესახებაც არაფერი იციან, უფრო აბსურდულად მეჩვენება, ვიდრე არაცნობიერი სულიერის იდეა. . .

უგულვებელყოფას მაინც ვერიდოთ, ვინაიდან სწორედ ცნობიერ-არაცნობიერობის თვისებაა ერთადერთი სხივი სიღრმის ფსიქოლოგიის წყვდიადში.

II

„მე“ და „იგი“

ფსიქოპათოლოგიურმა კვლევამ ჩვენი ინტერესები განდევნის მიმართულებით წარმართა. მას შემდეგ, რაც ვიცით, რომ „მე“-ც შეიძლება არაცნობიერი იყოს, მის შესახებ მეტის გაგება გვინდა. აქამდე, კვლევა-ძიების პროცესში ჩვენი ერთადერთი საყრდენი ცნობიერ - არაცნიბიერის ნიშანი იყო. ჩვენი ცოდნა მუდამ კავშირშია ცნობიერთან. არაცნობიერსაც მხოლოდ მისი გაცნობიერების გზით შეიძლება ვწვდეთ. მაგრამ როგორაა ეს შესაძლებელი? რას ნიშნავს რაიმეს გაცნობიერება?

ვთქვათ, რომ ცნობიერება ფსიქიკური აპარატის **ზედაპირია.** ამით მას იმ სისტემის ფუნქციას მივაწერთ, რომელიც სივრცობრივად, გარესამყაროსთან მიმართებით პირველადია. ის პირველადია არა მხოლოდ ფუნქციის თვალსაზრისით, არამედ ანატომიური სტრუქტურის მნიშვნელობითაც. ჩვენმა კვლევამ ამოსავლად უნდა მიიღოს ეს გარემოება.

ყოველი სახის აღქმა, რომელიც გარედან (გრძნობადი აღქმები) ან შიგნიდან (რასაც შეგრძნებებს და გრძნობებს ვუწოდებთ) მომდინარეობს, იმთავითვე ცნობიერია. მაგრამ როგორაა საქმე იმ შინაგან პროცესებთან მიმართებაში, რომელთაც ჩვენ უხეშად და არაზუსტად აზროვნებას ვუკავშირებთ? საკითხი ეხება იმ პროცესებს, რომლებიც ფსიქიკური აპარატის სიღრმეში მიმდინარეობენ. ისინი თავად ცნობიერდებიან, როდესაც აპარატის ზედაპირს აღწევენ თუ ცნობიერი ეშვება მათთან? შევნიშნავთ, ეს ერთერთი სიძნელეა, რომელიც უმალვე ჩნდება, როგორც კი სულიერი პროცესების სივრცულ, ტოპიკურ წარმოდგენაზე ვიწყებთ მსჯელობას. მითითებული ორი დაშვება ნაკლებ სავარაუდოა, უნდა არსებობდეს მესამე შესაძლებლობაც.

როგორც უკვე აღვნიშნე, რეალური სხვაობა არაცნობიერსა და ცნობიერ წარმოდგენებს (აზრებს) შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი შეუმეცნებელ მასალას ეფუძნება, ხოლო მეორე - სიტყვათა წარმოდგენებს. აქ პირველად შევეცადეთ ორივე სისტემისთვის (ცნობიერი და არაცნობიერი) განსხვავებული ნიშნები მიგვენიჭებინა. კითხვაზე - როგორ ხდება რაიმე ცნობიერი? პასუხი ასეთი იქნებოდა: შესატყვის სიტყვათა წარმოდგენებთან დაკავშირების გზით.

სიტყვათა ეს წარმოდგენები მოგონებათა კვალია. ისინი ერთ დროს აღქმები იყვნენ და, სხვა, ყველა კვალის ანალოგიურად, ისევ შეუძლიათ გაცნობიერება. მათი ბუნების შესახებ მსჯელობამდე, ახალი აზრი ყალიბდება - გაცნობიერება მხოლოდ მას შეუძლია, რაც ადრე ცნობიერი აღქმა იყო და რასაც, გრძნობადობის გარდა, გაცნობიერების ნებაც ახასიათებს. მაშ, ცნობიერ აღქმად გარდაქმნა მხოლოდ მოგონების კვალს შეუძლია. . .

სიტყვათა კვალი, არსებითად, აკუსტიკური აღქმიდან წარმოსდგება. ის წინაცნობიერი სისტემისთვის თითქოს განსაკუთრებული გრძნობადი საწყისია. სიტყვის წარმოდგენის ვიზუალური ასპექტი, როგორც მეორადი, შეიძლება უგუვებელყოფილი იქნეს. შესაბამისად, ის მოძრაობის ხატებიც, რომლებიც ყრუ-მუნჯებთან თამაშობენ საყრდენი ნიშნის როლს. სიტყვის კვალი მოსმენილი სიტყვის მოგონებაა. სიტყვის წარმოდგენათა როლი ახლა საბოლოოდ ცხადია. მათი შემწეობით აზროვნების შინაგანი პროცესები აღქმად იქცევიან. თითქოსდა ამით დებულება მტკიცდება, რომ ყოველი სახის ცოდნა გარეგანი აღქმიდან მომდინარეობს. . .

კითხვაზე, როგორ ვაქცევთ განდევნილს წინაცნობიერად, ვპასუხობთ: როდესაც წინაცნობიერ შუაწევრს (vbw) აღვადგენთ ანალიზური მუშაობით, ცნობიერება უცვლელად რჩება თავის ადგილას და არაცნობიერიც (ubw) არ ადის ცნობიერებამდე (bw).

მაშინ, როდესაც “მე”-სადმი გარე აღქმის მიმართება სავსებით ცხადია, განსაკუთრებულ კვლევას საჭიროებს კავშირი “მე”-სა და შინაგან აღქმას შორის. გასარკვევია, თუ რამდენადაა დაკავშირებული ყველა სახის ცნობიერება ცხადი ცნობიერების (W-bw) ზედაპირულ სისტემასთან.

შინაგანი აღქმის საფუძველზე სულიერი აპარატის უღრმეს ფენებში მიმდინარე პროცესების შეგრძნებები გვიყალიბდება. ამ შეგრძნებათა საუკეთესო ნიმუში სიამოვნება _ უსიამოვნების რიგია. ეს შეგრძნებები ყველაზე ადრეული და ელემენტალურია. ისინი თვით ბუნდოვანი ცნობიერების მდგომარეობაშიც აღმოცენდებიან. აღნიშნული შეგრძნებები მულტილოკალურია; გარეგანი აღქმების მსგავსად, შეუძლიათ ერთდროულად აღმოცენდნენ განსხვავებული უბნებიდან და ამასთან, გააჩნდეთ განსხვავებული, თვით საპირისპირო თვისებებიც კი.

სასიამოვნო შეგრძნებებს არ უკავშირდება განდევნილი. ის მაღალი ინტენსივობის უსიამოვნო შეგრძნებებისთვისაა დამახასიათებელი. აღნიშნულნი მოითხოვენ ცვლილებებს, განმუხტვას და ამიტომ ენერგიის მუხტის ამაღლების სახით არიან ინტერპრეტირებულნი. სიამოვნების შემთხვევაში კი _ ენერგიის მუხტის დაქვეითებაზე ვლაპარაკობთ. . .

გარეგან და შინაგან აღქმებსა და ცნობიერების ზედაპირულ სისტემებს შორის მიმართებების გარკვევის შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მოსაზრება "მე"-სთან დაკავშირებითაც. ჩვენი გაგებით, "მე" ცნობიერი სისტემის ბირთვია.

სასარგებლო იქნებოდა ერთი ავტორის აზრს გავყოლოდით, რომელიც ამაოდ გვარწმუნებს, რომ არაფერი აქვს საერთო მკაცრ მეცნიერებასთან. მხედველობაში მყავს გ. გროდეკი, რომელიც მუდმივად ხაზს უსვამს, რომ ის, რასაც "მეს"-ს ვუწოდებთ, არსებითად პასიურია და უცნობი ძალებით იმართება. ჩვენც ამავეს ვადასტურებთ, თუმცაღა ვთვლით, რომ ეს ძალები ბოლომდე არ გვიმორჩილებენ. გთავაზობთ, რომ ცხადი (W) სისტემიდან მომდინარე წინაცნობიერს ვუწოდოთ "მე", ხოლო ფსიქიკურს, რომელშიც ის არაცნობიერის (ubw) სახით არსებობს _ "იგი" (გროდეკის შესაბამისად)[3]. ჩვენ ვნახავთ, თუ რამდენად შეიძლება გროდეკის თვალსაზრისის აღწერისა თუ ახსნის მიზნით გამოყენება.

ჩვენი გაგებით, ინდივიდი ფსიქიკური "იგი"-ა, ჩვენთვის უცნობი და არაცნობიერი, რომლის ზედაპირზეც "მე" მდებარეობს, რომელიც ცხადი სისტემიდან, როგორც ბირთვიდან, არის აღმოცენებული. თუკი ნათქვამს გრაფიკულად გამოვსახავთ, მაშინ უნდა დავამატოთ, რომ "მე" სრულად არ მოიცავს "იგი"-ს, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ცხადი (w) სისტემა მის ზედაპირს ქმნის. "მე" არაა მკაცრად გამოყოფილი "იგი"-დან ისევე, როგორც ჩანასახის დისკო _ კვერცხიდან.

განდევნილი „იგი"-ს ერწყმის, თუმცა მისი მხოლოდ ერთი ნაწილი ხდება. წინააღმდეგობის საფუძველზე განდევნილი „მე"-სგან მკაფიოდ იმიჯნება და "იგი"-ს უეთდება. თუმცა, კვლავაც შეუძლია "მე"-სთან დაკავშირება. ჩვენ შეგვიძლია ამ მიმართებათა ასახვისთვის ნახატს მივმართოთ, რაც, რა თქმა უნდა, თვალსაჩინოებაა და განსაკუთრებულ ინტერპრეტაციაზე პრეტენზიას არ აცხადებს. დავუმატებთ, რომ ტვინის ანატომიის შესაბამისად, "მე" "სმენის ხუფს" მხოლოდ ცალ მხარეს ატარებს.

[3] G. Groddeck, das Buch vom Es, Internationaler Psychoanalytischer Verlag, 1923

ადვილად გასაგებია, რომ „მე“ „იგი“-ს შეცვლილი ნაწილია, რომელიც გარესამყაროს პირდაპირი ზეგავლენითა და ცნობიერების გაშუალებით ფორმირდება. გარკვეულწილად, “მე” “იგი”-ს ზედაპირული ფენის დიფერენცირების შედეგია. „მე“ ცდილობს „იგი“-ს აგრძნობინოს გარესამყაროს ზეგავლენა და აიძულებს ანგარიში გაუწიოს მას. ამავე დროს, “მე” ესწრაფვის სიამოვნების პრინციპის, რომელიც “იგი”-ში შეუზღუდავად მოქმედებს, ჩანაცვლებას რეალობის პრინციპით. აღქმა „მე“-სთვის იმავე როლს თამაშობს, რასაც „იგი“-სთვის ლტოლვა. „მე“ იმის წარმომადგენელია, რასაც გონება და გონიერება შეიძლება ეწოდოს. მისგან საპირისპიროდ, „იგი“ ვნებებს მოიცავს.

„მე“-ს ფუნქციონალური მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ ნორმის შემთხვევაში ის „იგი“-ს მოქმედებას მართავს და მხედარს ემსგავსება, რომელმაც ცხენის ჭარბი ძალა უნდა მოთოკოს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მხედარი ძალას აშკარად და დაუფარავად მიმართავს, ხოლო „მე“ კი – შეფარვით. შედარება შეიძლება განვავრცოთ; ისევე როგორც ცხენს მხედარი ზოგჯერ იქითკენ მიჰყავს, საითაც თავად სურს, ასევე „მე“-საც აქვს ჩვეულება „იგი“-ს ნებას აჰყვეს და მოქმედებაში გადაიყვანოს[4].

„მე“-ს აღმოცენებისა და „იგი“-სგან გამოყოფის პროცესზე, ცხადი (u) სისტემის გარდა, სხვა ფაქტორებიც ზემოქმედებენ. საკუთარი სხეულისა და უპირველეს ყოვლისა, მისი ზედაპირის მიერ გარეგანი და შინაგანი აღქმები მიიღება. საკუთარი სხეული სხვა ობიექტების მსგავსად აღიქმება. . . ფსიქოფიზიოლოგია შეისწავლის გარე სამყაროს აღქმისაგან საკუთარი სხეულის აღქმის დიფერენცირების პროცესს. როგორც ჩანს, ამ დროს ტკივილი გარკვეულ როლს თამაშობს, და აგრეთვე ის ხერხიც, თუ ტკივილის დახმარებით როგორ ვიღებთ ცოდნას საკუთარი ორგანოების შესახებ. ეს მნიშვნელოვანი გზაა საკუთარი სხეულის წარმოდგენის შექმნის პროცესში. “მე”, უპირველეს ყოვლისა, სხეულებრივია; ის არა მხოლოდ ზედაპირული არსებაა, არამედ თავად ზედაპირის პროექციაა. . .

„მე“-ს ცნობიერებასთან მიმართება არა ერთხელ შეფასებულა. თუმცა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მაინც ახლად აღსაწერია. ტრადიციულად, ხშირად მივმართავთ სოციალური ან ეთიკური შეფასების პოზიციას. ამიტომაც არ გვიკვირს, როდესაც ვისმენთ მსჯელობას, რომ დაბალი ვნებები არაცნობიერში მოქმედებენ. შესაბამისად, სულიერი ფუნქციები მით უფრო იოლად უნდა ცნობიერდებოდნენ, რაც უფრო მაღალ შეფასებას ვანიჭებთ მას. თუმცა, ფსიქოანალიზური გამოცდილება აქ იმედს გვიცრუებს. ჩვენ

[4] თვითონ გრედეკი ალბათ ნიცშეს მაგალითს გაჰყვა, რომელიც იყენებს ტერმინს _”არაპიროვნული” და მისით აღნიშნა ეს გრამატიკულად გამოთქმა მოიხმარა არაპიროვნულისა და ასე რომ ვთქვათ, ბუნებრივ-აუცილებელი ჩვენს არსებაში.

ვასაბუთებთ, რომ თვით ინტელექტის ფაქიზი და რთული სამუშაოც კი წინაცნობიერში სრულდება და ცნობიერების ზედაპირამდე არ აღწევს. არის შემთხვევები, როდესაც უშუალოდ გაღვიძების შემდეგ ადამიანი იმ ძნელი მათემატიკური ანდა სხვა პრობლემების გადაჭრის გზას პოულობს, რომელზეც წინადღით უშედეგოდ იმტვრევდა თავს.[5]

მაგრამ უფრო საოცარი სხვა ფაქტია. ფსიქოანალიზის გამოცდილებით, არიან პირები, რომლებსაც თვითკრიტიკა და სინდისი, ანუ განსაკუთრებულად მაღალღირებული სულიერი მოვლენები, არაცნობიერი აქვთ და ისინი არაცნობიერადვე იწვევენ მნიშვნელოვან შედეგებს. . . და თუკი დავუბრუნდებით ღირებულებათა სკალას, უნდა ვაღიაროთ, რომ არა მხოლოდ "მე"-ს უღრმესი, არამედ უმაღლესიც კი შეიძლება არაცნობიერი იყოს. ამით თითქოს მტკიცდება ცნობიერ "მე"-სთან დაკავშირებული ჩვენი თვალსაზრისი; ის სხეულებრივი "მე"-ა.

"მე" და „ზე–მე" („მე–იდეალი")

„მე" რომ „იგი"–ს მხოლოდ აღქმის სისტემის ზეგავლენით მოდიფიცირებული ნაწილი იყოს და რეალური გარესამყაროს წარმომადგენელი სულიერ სამყაროში, მაშინ საქმე მარტივად იქნებოდა. მაგრამ აქ სხვა ფაქტორებიც ჩაერთვის.

ჩვენი მამოძრავებელი მოტივები და „მე"–ს დიფერენცირებული ასპექტები, როგორიცაა „მე–იდეალი" ან „ზე–მე", სხვა ნაშრომებში განიმარტა. „მე"–ს ამ ასპექტებს რომ არც თუ ისე მტკიცე კავშირი აქვთ ცნობიერთან - სიახლეა, რაც ახსნას მოითხოვს.

რამდენადმე შორიდან დავიწყოთ. მელანქოლია ავხსენით, როგორც დაკარგული ობიექტის აღდგენა ან "მე"-ს ობიექტთან იდენტიფიკაცია. ჩვენ ადრე ბოლომდე არ გვესმოდა ამ პროცესის მნიშვნელობა და მისი ტიპიური ხასიათი. მოგვიანებით გავიგეთ, რომ აღნიშნული ჩანაცვლება დიდ როლს თამაშობს როგორც "მე"-ს, ასევე ხასიათის ფორმირებაშიც.

ობიექტთან დაკავშირების იმპულსი „იგი"–დან მომდინარეობს, რომელიც სექსუალურ ლტოლვას მოთხოვნელების სახით შეიგრძნობს. დასაწყისში, ჯერ კიდევ სუსტი „მე",

[5] ასეთი შემთხვევის, როგორც ჩემი „სიზმრის მუშაობის" საწინააღმდეგო ფაქტის, შესახებ ცოტა ხნის წინშემატყობინეს.

ლტოლვის თავიდან მოშორებას ცდილობს და ამ მიზნით განდევნის პროცესებსა და ობიექტთან კავშირს მიმართავს.[6]

სექსუალური ობიექტის უარყოფას ხშირად "მე"-ს ცვლილებები ერთვის, რაც, როგორც მელანქოლიის შემთხვევაში, „მე"–ში ობიექტის აღდგენის სახით უნდა აღიწეროს. ამ ჩანაცვლების რაობა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია. ალბათ, ის, როგორც ინტროექცია ან ორალური ფაზის მექანიზმისთვის დამახასიათებელი რეგრესი, "მე"-ს ობიექტზე უარის თქმას უადვილებს. აღნიშნული გაიგივება, ალბათ, საზოგადოდ ის პირობაა, რომლის დროსაც "იგი" უარს ამბობს თავის ობიექტზე.

აღნიშნულ პროცესს განვითარების ადრეულ ფაზებში ხშირად აქვს ადგილი, რაც ნიშნავს, რომ „მე"–ს ხასიათი უკუგდებული ობიექტის კვალს უკავშირდება და ობიექტის არჩევის ისტორიას შეიცავს. უნდა თავიდანვე დავუშვათ იმ წინააღმდეგობის ცვლადი ინტენსივობა, რომლითაც პიროვნება სექსუალური ობიექტის არჩევის პროცესში ამ ზეგავლენას უარყოფს ან იღებს. ქალის ხასიათის თავისებურებებში, რომელსაც სიყვარულის დიდი გამოცდილება აქვს, სექსუალური ობიექტის კვალი იოლად დასტურდება. მაშ, ობიექტის უარყოფის პროცესში პიროვნების ხასიათი ცვლილებას განიცდის. ხასიათის ცვლილება ხელს უწყობს ობიექტთან წინააღმდეგობის გადალახვასა და ობიექტის, გარკვეული აზრით, დაკონსერვებას.

განსხვავებული თვალსაზრისით, სექსუალური ობიექტის ასეთი გარდაქმნა იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ეუფლება „მე" „იგი"–ს, თუ როგორ ღრმავდება მისი დამოკიდებულება „იგი"–ს მიმართ, თუმცა, მნიშვნელოვანი დათმობების ფასად. თუკი „მე" ობიექტის თვისებებს ითავისებს, მაშინ ის, ასე რომ ვქთვათ, „იგი"–ს სიყვარულის ობიექტის სახით ეუფლება და ცდილობს მას დანაკლისი შეუვსოს. თითქოს, ამით ეუბნება: "ხედავ, შემიძლია მეც შემიყვარო, მე ხომ სასურველ ობიექტს ვგავარ!"

ობიექტ-ლიბიდოს ნარცისულ ლიბიდოდ გარდაქმნას, რომელსაც ამ შემთხვევაში აქვს ადგილი, სექსუალური მიზნის უარყოფა, დესექსუალიზაცია და შესაბამისად, სუბლიმაციის კერძო სახე მოსდევს. აქ ისმის კითხვა, რომელიც საფუძვლიან განხილვას მოითხოვს – ატარებს თუ არა აღნიშნული სუბლიმაცია ზოგად ხასიათს და ხორციელდება თუ არა სუბლიმაცია მხოლოდ „მე"–ს შუალობით; "მე"-სი, რომელიც სექსუალური ობიექტის ლიბიდოს ნარცისულ ლიბიდოდ გარდაქმნის, რათა მას, სავარაუდოდ, განსხვავებული

[6] მხოლოდ რეალობის შეფასების ფუნქცია რომ „ზე–მე"–ს მივაწერე, მცდარი ჩანს და შესწორებას მოითხოვს. .თუკი რეალობის შეფასებაა მისი ერთადერთი ამოცანა, მაშინ ის"მე"-ს აღქმადი სამყაროსადმი დამოკიდებულებას სრულად შეესატყვისება. ასევე უნდა შესწორდეს ადრეული, საკმაოდ დიფუზური გამონათქვამი „მე"–ს ბირთვის შესახებაც.

Trauer und Melancholie (G.W.X.)

მიზანი დაუსახოს. შეიძლება თუ არა ამ გარდაქმნამ ერთმანეთთან შერწყმული ლტოლვების განცალკევება გამოიწვიოს? ამ საკითხებს მოგვიანებით განვიხილავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიზანს ვცილდებით, ყურადღებას მაინც „მე“–ს ობიექტთან იდენტიფიკაციის ერთ მომენტზე შევაჩერებთ.

იდენტიფიკაციით ობიექტის ჩანაცვლების საინტერესო მაგალითია პრიმიტივის რწმენა, რომ ცხოველის თვისებები მისი საკვებად მიღების პროცესში ადამიანში გადმოინაცვლებს. ამ რწმენაზეა დამყარებული აკრძალვები. ის კანიბალიზმის ფუნდამენტია და მთელს რიგ ჩვევებში მოქმედებს, დაწყებული ტოტემიზმითა და წმინდა ზიარებით დამთავრებული. ორალური ობიექტის ფლობასთან დაკავშირებული შედეგები, მოგვიანებით, სექსუალური ობიექტის არჩევის პროცესშიც ვლინდება.

თუკი ამგვარი ფენომენები ხშირია, ინტენსიური და მრავალფეროვანი, მაშინ პათოლოგიურ შედეგამდე მივდივართ. შედეგი შესაძლოა იყოს „მე“–ს გახლეჩვა; ამ დროს ცალკეული, საპირისპირო იდენტიფიკაციები ერთმანეთისაგან იზოლირდება, რაშიც მდგომარეობს, ალბათ, ე.წ. მრავლობით პიროვნების ფენომენის საიდუმლოება, რომლის დროსაც ცალკეული იდენტიფიკაციები მონაცვლეობით ფლობენ ცნობიერებას.

როგორ ფორმასაც არ უნდა ატარებდეს მოზრდილი ადამიანის წინააღმდეგობა უკუგდებული ობიექტის ზემოქმედებათა მიმართ, ადრეულ ასაკში მომხდარი იდენტიფიკაციები სტაბილურია და გამძლე. “მე-იდეალი” ინდივიდის პირველად და უმნიშვნელოვანეს (კერძოდ, მამასთან) იდენტიფიკაციას ეფუძნება. ეს პირველადი და უშუალო იდენტიფიკაციაა, რომელიც მის განსხვავებულ სახეებს წინ უსწრებს.

---------- ახლა ჩვენ, „მე“–სა და „იგი“–ს გამიჯვნის შემდეგ, ლიბიდო დიდ რეზერვუარად „იგი“ უნდა ვაღიაროთ. ლიბიდო, რომელიც „მე“–საკენ მიედინება, აღწერილი იდენფიცირების შესაბამისად, „მეორე ნარცისიზმს“ იწვევს.

პირველ სექსუალურ პერიოდში ობიექტის არჩევა მამასა და დედას უკავშირდება და, მომდევნო იდენტიფიკაციებთან შედარებით, სტაბილურია. ეს დამოკიდებულებანი იმდენად რთულია, რომ მათი დაწვრილებითი აღწერა ხდება აუცილებელი. მათ სირთულეს ორი მომენტი განაპირობებს; იოდიპოს მიმართებათა სამკუთხედი და ინდივიდის კონსტიტუციონალური ბისექსუალობა.

მარტივი მოდელით, ვაჟი დედა_ობიექტის მიმართ ადრეულ ასაკშივე იმუხტება, რისი სტიმულიც დედის მკერდია. დედა ეტალონად იქცევა მომავალი ობიექტის არჩევის პროცესში; ვაჟის ორივე მშობლისადმი დამოკიდებულება, ერთი პერიოდი, პარალელურად მიმდინარეობს მანამ, სანამ დედისადმი სექსუალური სურვილების გაძლიერებითა და

აღქმით, რომ მამა ამ სურვილების დაბრკოლებაა, იოდიპოსის კომპლექსი არ გამოვლინდება.[7] ამ დროს მამასთან იდენტიფიკაცია მტრულ ელფერს იძენს, მიმართულია სურვილისკენ მოიშოროს მამა, რათა მას დედასთან შეენაცვლოს. აქედან დაწყებული, მამისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია. მამისადმი ამბივალენტური განწყობა და დედისაკენ სწრაფვა - ასეთია ვაჟის ოიდიპოსის კომპლექსის მარტივი პოზიტიური შინაარსი.

იოდიპოსის კომპლექსის დაძლევასთან ერთად უნდა მოიხსნას მუხტი დედა–ობიექტისგანაც. მის ნაცვლად შეიძლება გაძლიერდეს დედისადმი (ან მამისადმი) იდენტიფიკაცია. მამისადმი იდენტიფიკაციას ნორმალურ გამოსავლად მივიჩნევთ, რადგანაც ის დედისადმი ნაზ დამოკიდებულებას გვინარჩუნებს. ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევით ვაჟის მასკულინური ხასიათი განმტკიცდება. სავსებით ანალოგიურად, პატარა გოგონას იოდიპოსის კომპლექსი შესაძლოა დედასთან იდენტიფიკაციის სტიმულად იქცეს, რაც ბავშვის ფემინურ ხასიათს განამტკიცებს. . .

“ზე-მე” “იგი”-ს პირველი არჩეული ობიექტის უბრალო კვალი ან ნალექი როდია. ”ზე-მე”აქტიურად ზემოქმედებს “იგი”-ზე. მისი ქმედება არ ამოიწურება “იგი”-სადმი მოწოდებით: “შენ მამის მსგავსი უნდა იყო”, არამედ გულისხმობს აკრძალვასაც: “შენ უფლება არა გაქვს იყო ისეთი, როგორიც მამაა”. რაც გულისხმობს, რომ მამას განსაკუთრებული უფლებებიც გააჩნია. “ზე-მე”-ს ეს ორმაგი სახე ოიდიპოსის კომპლექსის განდევნიდან მომდინარეობს. უფრო მეტიც, “ზე_მე” თავის არსებობას სწორედ ოიდიპოსის კოომპლექსის განდევნას უმადლის. “ზე-მე” ინარჩუნებს მამის ხასიათს და რაც უფრო ძლიერი იყო ოიდიპოსის კომპლექსი, მით უფრო სწრაფად მოჰყვება მას განდევნა (ავტორიტეტის, რელიგიური მოძღვარის, განათლების ზემოქმედებით) და მით მკაცრი ხდება მოგვიანებით “ზე-მე”, როგორც სინდისი. “ზე-მე” ორი მეტად მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ფაქტორის შედეგია, როგორიცაა ბავშვური უმწეობა და ადამიანებზე (უფროსებზე) დამოკიდებულება. შესაბამისად, “ზე-მე” ოიდიპოსის კომპლექსს ეფუძნება. ამავე დროს, “მე”-დან “ზე_მეს” გამოყოფა კანონზომიერი პროცესია. ის სპეციფიკურ ადამიანური მოვლენაა და კულტურული განვითარების სტიმულსაც წარმოადგენს.

ფსიქოანალიზს უსასრულოდ საყვედურობენ, რომ ის არ ზრუნავს ადამიანში მაღალზე, მორალურსა და ზეპიროვნულზე. საყვედური ორმაგადაა გაუმართლებელი; როგორც ისტორიულად, ისე მეთოდურადაც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემი ადრეულივე

[7] .ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა მშობლებისადმი, ვინაიდან მამა და დედა განსხვავებულად არ ფასდება მანამ, სანამ, პენისთან დაკავშირებით, სქესთა შორის სხვაობის ცოდნა არ ჩამოყალიბდება. ჩვენს პრაქტიკაში, ახალგაზრდა პაციენტი-ქალის შემთხვევაში, ქალმა პენისის დეფიციტი არა ყველა ქალთან აღიარა, არამედ, მისი აზრით, მხოლოდ ნაკლებად ღირებულ ინდივიდებთან. ის მიიჩნევდა, რომ დედამისს პენისი გააჩნდა. სიმარტივისთვის აქ მხოლოდ მამასთან იდენტიფიკაციის პროცესს განვიხილავთ.

შეხედულებების თანახმად, განდევნის სტიმული სწორედ “მე”-ს მორალური და ესთეტიკური ტენდენციებიდან მომდინარეობს. მეორეც, უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ფსიქოანალიზურ კვლევას, ფილოსოფიური სისტემის მსგავსად, სრულყოფილი სტრუქტურა არ შეიძლება ჰქონდეს და ის, ნორმალური და პათოლოგიური ფენომენების ანალიზური დაყოფით, გზას ნაბიჯ–ნაბიჯ მიიკვლევს სულიერი სიღრმეების გაგებისაკენ. განდევნის ფენომენის შესწავლის პროცესში ჩვენ არ ვსაჭიროებთ მითითებებს ადამიანში უმაღლესის შენარჩუნების თაობაზე. ახლა, როდესაც „მე“–ს ანალიზს ვიწყებთ, შეგვიძლია მათ, ვინც ზნეობრივი ცნობიერებით აღელვებულნი გვსაყვედურობდნენ, რომ ადამიანში მაღალი არსება უნდა იყოსო, ასე ვუპასუხებთ: დიახ, რა თქმა უნდა! და ეს მაღალი არსება “მე-იდეალი” ან “ზე-მე-ა”, რომელიც მშობლებისადმი ურთიერთობას ასახავს! პატარობისას ჩვენ ახლოს ვიცნობდით ამ მაღალ არსებებს, ისინი გვაოცებდნენ და მათი გვეშინოდა. მოგვიანებით კი, ეს მაღალი არსებები ჩვენში შემოვაბრძანეთ.

„მე–იდეალი“, ამგვარად, ოიდიპოსის კომპლექსის მემკვიდრეობას და ამით, „იგი“–ს ლიბიდოს ხვედრს წარმოადგენს. „მე“ ეუფლება ოიდიპოსის კომპლექსს და, იმავდროულად, “იგი”-ს ექვემდებარება. “მე”, არსებითად, გარესამყაროს, რეალობის წარმომადგენელია. „ზე–მე“ მას, როგორც შიდა სამყაროს, უპირისპირდება. „მე”–სა და „იდეალს“ შორის კონფლიქტი რეალობასა და ფსიქიკურს, გარე სამყაროსა და შიდა სამყაროს შორის დაპირისპირებას ასახავს.

რაც კი ბიოლოგიამ და ადამიანის სახეობამ „იგი“–ს სახით ჩამოაყალიბა, „მე“–ს იდეალურმა წარმონაქმნა გადმოიღო და ამ გზით სიცოცხლე შეიძინა. „მე–იდეალს“, თავისი ფორმირების ისტორიის გამო, მჭიდრო კავშირი აქვს ფილოგენეზის მონაპოვართან და იმ არქაულ მემკვიდრეობასთან, რომელიც სულიერი ცხოვრების ყველაზე ღრმა ფენას ეკუთვნის. ჩვენი შეფასებით, იდეალური _ ადამიანის სულის უმაღლესი გამოვლინებაა. „მე“–ს ანალოგიურად „მე–იდეალის“ ლოკალიზაცია ანდა “მე”-სა და “იგი”-სადმი მისი მიმართებების წარმოდგენა _ ამაო მცდელობაა. „მე–იდეალი“ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც ადამიანს, როგორც უმაღლეს არსებას, წაეყენება. მამისადმი სწრაფვის მქონე ადამიანს ის ჩანასახი გააჩნია, რომლის საფუძველზეც რელიგია წარმოიქმნება. „მე-იდეალთან” შედარებით საკუთარი არასრულფასოვნება მორჩილ რელიგიურ განცდას იწვევს, რასაც ჟინიანი მორწმუნე ასე ძლიერად ექვემდებარება. განვითარების პროცესში მამის როლს მასწავლებლები და ავტორიტეტები აგრძელებენ, რომელთა აკრძალვები მტკიცედაა ასახული „მე-იდეალ”-ში, რომელიც მორალურ ცენზურას ახორციელებს სინდისის სახით. სინდისის მოთხოვნებსა და „მე“–ს ქმედებებს შორის კონფლიქტი დანაშაულის გრძნობის სახით განიცდება. „მე–იდეალის“ საფუძველზე აღმოცენებული სოციალური გრძნობა სხვებთან იდენტიფიკაციას ემყარება.

რელიგია, მორალი და სოციალური გრძნობები, ანუ ადამინში არსებული უმაღლესი შინაარსები, “ტოტემისა და ტაბუს” ჰიპოთეზის თანახმად, ფილოგენეტურად მამის კომპლექსიდან შეიძინება. რელიგია და მორალური აკრძალვები _ ოიდიპოსის კომპლექსის

დაძლევიდან იღებს სათავეს, ხოლო სოციალური გრძნობები _ ახალგაზრდა თაობის წევრებს შორის ქიშპობის იძულებითი დაძლევიდან მომდინარეობს. . .

IV

ლტოლვათა ორი სახე

უკვე აღვნიშნეთ, რომ თუკი სულიერი მოვლენების დაყოფა ინსტანციებად _ „იგი“, „მე” და „ზე–მე“ წინგადადგმული ნაბიჯია, მაშინ ეს პრინციპი, ასევე, სულიერი ცხოვრების უფრო ღრმა გაგებისა და მისი დინამიკური მიმართებების უკეთ აღწერისთვისაც ეფექტური უნდა გამოდგეს. ჩვენთვის ცხადია, რომ „მე“ აღქმის განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ იმყოფება; შეიძლება ითქვას, რომ აღქმას „მე“–სთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ლტოლვას _ „იგი”–სთვის. ამასთან, „მე“, “იგი”-ს მსგავსად, ლტოლვების ზემოქმედებასაც განიცდის, რადგანაც “მე” “იგი”-ს განსაკუთრებული, მოდიფიცირებული ნაწილია.

ლტოლვების შესახებ თვალსაზრისი უკვე მოკლედ ჩამოვაყალიბე (თხზულებაში “სიამოვნების პრინციპის მიღმა”), რომელსაც აქაც მივმართავთ და რომელიც საფუძვლად დაედება ჩვენს ანალიზს. უნდა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ლტოლვის ორი სახე, რომელთაგან ერთი სექსუალური ლტოლვაა ანუ ეროსი. ის მოიცავს არა მხოლოდ საკუთრივ შეუკავებელ სექსუალურ მოთხოვნილებასა და მისგან მომდინარე სუბლიმირებულ ლტოლვას, არამედ თვითშენახვის ლტოლვასაც, რომელიც „მე“–ს უნდა მივაწეროთ და რომელიც ანალიზური მუშაობის დასაწყისში სექსუალური ობიექტის ლტოლვებს უპირისპირდება. ლტოლვის მეორე ტიპზე საუბარი არც თუ ისე იოლია. საბოლოოდ, მის გამოვლინებად სადიზმი წარმოვადგინეთ. ბიოლოგიაზე დაფუძნებული თეორიული მოსაზრებების საფუძველზე დავუშვით სიკვდილის ლტოლვის არსებობა, რომლის ამოცანა არის ორგანულად ცოცხალის დაბრუნება არაცოცხალ მდგომარეობაში. მისგან განსხვავებით, ეროსის მიზანი სიცოცხლის შენარჩუნება, მისი გართულება და გაფართოვებაა. ორივე ლტოლვა კონსერვატიულად მოქმედებს, როდესაც იმ მდგომარეობის აღდგენისკენ მიისწრაფვიან, რაც სიცოცხლის აღმოცენებამ დაარღვია. სიცოცხლის აღმოცენება, მაშ, მიზეზია სიცოცხლის გაგრძელებისა და, იმავდროულად, სიკვდილისკენ სწრაფვისაც. თვითონ სიცოცხლე კი ბრძოლაა და კომპრომისი ამ ლტოლვებს შორის. კითხვა სიცოცხლის წარმოშობის შესახებ კოსმოლოგიურ საკითხად რჩება, ხოლო მისი მიზნისა და დანიშნულების კითხვაზე პასუხი დუალური უნდა იყოს.

ლტოლვის აღნიშნულ, ორ სახეს განსაკუთრებული ფიზიოლოგიური პროცესები (ზრდა და დაშლა) მიეწერება. ცოცხალი სუბსტანციის არსებობის ყოველ მომენტში ორივე ლტოლვა მოქმედებს, მაგრამ არათანაბარი პროპორციით. ძნელად წარმოსადგენია, თუ როგორ კავშირდება ერთმანეთთან ლტოლვათა ეს ორი სახე, თუ როგორ ერწყმიან და ედუღაბებიან ისინი ერთმანეთს. ჩვენი დაშვებით, მათ შორის ამგვარი მიმართება ხშირია და რეგულარული. ელემენტალური ერთუჯრედიანი ორგანიზმები მრავალუჯრედიან ორგანიზმებს ერწყმიან და ამით ერთუჯრედიანთა სიკვდილის ლტოლვა ნეიტრალიზდება. შემდეგ განსაკუთრებული ორგანოს (კუნთების) მიერ ეს დესტრუქციული ლტოლვა გარესამყაროსკენ მიიმართება. სიკვდილის ლტოლვა, შესაბამისად, ნაწილობრივ მაინც ვლინდება, როგორც გარე სამყაროსა და ცოცხალ არსებათა წინააღმდეგ მიმართული დესტრუქციული ლტოლვა.

ვუშვებთ რა, რომ ორი სახის ლტოლვა ერთმანეთს ერწყმის, აქვე ჩნდება კითხვა მათი მეტ-ნაკლებად განცალკევების შესაძლებლობის თაობაზე. . . ამ პოზიციიდან ჯერ კიდევ არ განხილულა ფაქტების დიდი სიმრავლე. ნათელი ხდება, რომ დესტრუქციული ლტოლვა რეგულარულად ემსახურება ეროსს. ჩვენი შეხედულებით, მძიმე ნევროზების და მაგალითად, იძულების ნევროზის შემთხვევაში სიკვდილის ლტოლვა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. განზოგადების საფუძველზე შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ლიბიდოს რეგრესია, მაგალითად, გენიტალური ფაზიდან სადისტურ–ანალურისკენ, ლტოლვათა გათიშვას გულისხმობს. ხოლო წინსვლა ადრეული ფაზებიდან გენიტალურისაკენ _ ლტოლვათა გამთლიანებასა და ეროსის ჩართვას ემყარება. . .

ჩვენი ინტერესი ბუნებრივად უკავშირდება კითხვას – მოინახება თუ არა დამახასიათებელი მიმართებები, ერთის მხრივ „მე“–ს, „ზე–მე“–სა და „იგი“–ს დაშვებულ წარმონაქმნებსა და მეორე მხრივ, ლტოლვის ორ სახეს შორის? ასევე საკითხავია, შეგვიძლია თუ არა სულიერი პროცესების მფლობელ სიამოვნების პრინციპს დავუდგინოთ მტკიცე ადგილი ლტოლვათა ორ სახეს შორის? სიამოვნების პრინციპის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ასევე, „მე“–ს დიფერენცირება კლინიკურ გამოცდილებას ემყარება, მაგრამ ლტოლვის ორ სახეს შორის განსხვავება საკმარისად არაა დასაბუთებული.

ლტოლვათა ორი სახის დაპირისპირების ანალოგად შეიძლება განვიხილოთ სიყვარულისა და სიძულვილის პოლარობა. კლინიკური დაკვირვება გვასწავლის, რომ სიძულვილი სიყვარულის არა მხოლოდ მუდმივი თანამგზავრია (ამბივალენტობა), არა მხოლოდ მისი ხშირი წინამორბედია ადამიანურ ურთიერთობებში, არამედ ასევე ნათელი ხდება, რომ სიძულვილი ზოგიერთ შემთხვევაში სიყვარულად იქცევა, ხოლო სიყვარული სიძულვილად. თუკი ამგვარი გარდაქმნა უფრო მეტია, ვიდრე ლტოლვათა უბრალო დროითი თანმიმდევრობა თუ მონაცვლეობა, მაშინ ცხადია, რომ, ურთიერთ საპირისპირო ფიზიოლოგიურ პროცესებზე დამყარებულ, სექსუალურ და სიკვდილის ლტოლვებს შორის ფუნდამენტური სხვაობა არ ყოფილა.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირი ჯერ უყვართ და შემდეგ სძულთ ანდა პირიქით. თუკი ეს მოვლენა კონკრეტული მიზეზის შედეგია, მაშინ, ცხადია, ის ჩვენს პრობლემას არ წარმოადგენს. ისევე, როგორც შემთხვევა, როდესაც გამოუვლენელი ტრფიალი პირველად თავს მტრობითა და აგრესიის სახით ავლენს. ასეთ დროს დესტრუქციული კომპონენტი შესაძლოა წინ უსწრებდეს ეროტიკულ კომპონენტს, მაგრამ ნევროზის ფსიქოლოგიაში არა ერთი შემთხვევაა, როდესაც ლტოლვათა გარდაქმნის ფაქტი უფრო ცხადი ხდება. paranoia persecutoria-ს შემთხვევაში ავადმყოფი ინტენსიური ჰომოსექსუალური მიდრეკილებისაგან თავს იცავს. შედეგად საყვარელი ადამიანი მდევრად იქცევა, რომლის წინააღმდეგაც ხშირადაა მიმართული ავადმყოფის სახიფათო აგრესია. უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ აქ სიყვარული სიძულვილად გარდაიქმნება. ჰომოსექსუალობის და ასევე, დესექსუალიზებული სოციალური გრძნობების შემთხვევაში, როგორც ბოლო დროინდელი ანალიზური ძიება გვასწავლის, მეტოქეობის ძლიერი, აგრესიის მიდრეკილებასთან დაკავშირებული გრძნობები აღინიშნება, რომელთა დაძლევის შემდეგაც საძულველი ობიექტი სასურველ ანდა საიდენტიფიკაციო ობიექტად იქცევა. ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში დასაშვებია თუ არა სიძულვილის სიყვარულში პირდაპირი გარდაქმნა? სიყვარულის სიძულვილად გარდაქმნის აღიარებისას, ვუშვებთ, რომ სულიერ ცხოვრებაში – განურჩევად „მე“–სა თუ „იგი“–ში – გადატანადი ენერგია არსებობს, რომელიც თავისთავად ინდიფერენტულია. ეს ენერგია ქვალიტეტურად დიფერენცირებულ ეროტიულ და დესტრუქციულ ლტოლვებს ერთვის და ამით მათი გაინტენსიურება შეუძლია. ასეთი გადატანადი ენერგიის დაშვების შემდეგ აუცილებელია გაირკვეს, თუ ის საიდან მოდის, რას ეკუთვნის და რას გულისხმობს.

. . .”მე”-სა და “იგი”-ში შენაცვლებადი და ინდიფერენტული ენერგია მოქმედებს, რომელიც ნარცისული ლიბიდოს მარაგიდან მომდინარეობს. ის დესექსუალიზებული ეროსია. სექსულაური ლტოლვა უფრო პლასტიურია, უფრო აბსტრაქტული და ჩანაცვლებადი, ვიდრე დესტრუქციული ლტოლვა. ეს ჩანაცვლებადი ლიბიდო სიამოვნების პრინციპს ემსახურება; მისი მიზანი განმუხტვა და განტვირთვაა. არჩეული მეთოდებისა და ობიექტების მიმართ მას ინდიფერენტობა ახასიათებს.

თუკი აღნიშნული ენერგია დესექსუალიზებული ლიბიდოა, მაშინ უფლება გვაქვს მას სუბლიმირებულიც ვუწოდოთ, ვინაიდან ის მუდამ ხელს უწყობს ეროსის მთავარ განზრახვას – შეერთებასა და დაკავშირებას, ემსახურება რა “მე”-სთვის დამახასიათებელ ტენდენციას _ მთლიანობის აღდგენას. თუკი, გადატანის პროცესში აზროვნების პროცესებსაც ჩავრთავთ, მაშინ აზროვნების მუშაობაც სექსუალური ლტოლვის სუბლიმირების სახით უნდა გავიგოთ.

აქ კვლავ ვუშვებთ, რომ სუბლიმაცია „მე“–ს მიერ განხორციელებული კანონზომიერი პროცესია. გავიხსენოთ მოვლენა, როდესაც „მე“ „იგი“–ს ობიექტით იმუხტება და “იგი”-ს ლიბიდოს იმთლიანებს. ეს პროცესი, ბუნებრივია, სექსუალური მიზნების მოხსნასა და დისექსუალიზაციას გულისხმობს. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ „მე“–ს ეროსთან

მიმართება ახასიათებს. ობიექტისადმი მიმართული ლიბიდოთი დამუხტვისა და სუბლიმირების პროცესში “მე” “იგი“–ს განზრახვის წინაღმდეგ მოქმედებს და მის ლტოლვას უპირისპირდება. . .

ახლა ჩამოვაყალიბოთ ნარცისიზმის მოძღვრება. თავიდან, როდესაც „მე“ ჯერ კიდევ ქმნადობაშია ან სუსტი, ლიბიდო „იგი“–ში გროვდება. ლიბიდოს ერთ ნაწილს „იგი“ ობიექტის სექსუალური დამუხტვის მიზნით წარმართავს; ობიექტის დამუხტვის შემდეგ გაძლიერებული „მე“ ამ ობიექტის ლიბიდოს დაუფლებას ცდილობს და საკუთარ თავს, როგორც სიყვარულის ობიექტს, სთავაზობს „იგი“–ს. შესაბამისად, „მე“–ს ნარცისიზმი მეორადია და ობიექტებისგან განყენებული.

ხშირად ლტოლვა, საბოლოოდ, ისევ ეროსიდან მომდინარეობს. ძნელი იქნებოდა დუალური პრინციპის დაცვა, რომ არა არგუმენტები, გადმოცემული ნაშრომში „სიამოვნების პრონციპის მიღმა“ და, ასევე, ეროსის საკითხთან დაკავშირებული სადიტური კომპონენტის ფაქტი. . .

(ჩვენი გაგებით, გარეთ მიმართული დესტრუქციული ლტოლვები “მე”-სგან ეროსის გაშუალებითაა განყენებული).

V

„მე“–ს დამოკიდებულებანი

ზოგიერთი პირი ანალიზური მუშაობის პროცესში უცნაურად იქცევა. თუკი მათ აიმედებენ მკურნალობის დადებითი შედეგებით, ისინი უკმაყოფილებას არ მალავენ და რეგულარულად ამძიმებენ საკუთარ მდგომარეობას. თავიდან ეს აღიქმებოდა, როგორც პაციენტის სიჯიუტე და მკურნალისადმი უპირატესობის დამტკიცების მცდელობა. მოგვიანებით ჩვენ მივედით ამ მოვლენის უფრო ღრმა და სწორ გაგებამდე; დავრწმუნდით, რომ ამგვარი პირები უბრალოდ კი ვერ იტანენ აღიარებასა და შექებას, არამედ სწორედ მკურნალობის წარმატებაზე რეაგირებენ უარყოფითად. პრობლემის ყოველგვარი ნაწილობრივი გადაწყვეტა, რასაც შედეგად სიმპტომების შესუსტება ან მათი დროებითი ამოვარდნა უნდა მოჰყვეს, ამ პაციენტების შემთხვევაში ინტენსიურ უარყოფით ემოციებსა და მათი მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. ასეთ დროს ისინი ე.წ. ნეგატიურ თერაპიულ რეაქციას ავლენენ.

უეჭველია, რომ ასეთი პაციენტების შემთხვევაში რაღაც უპირისპირდება გამოჯანმრთელებას. ისინი თერაპიას ხიფათის სახით განიცდიან. ასეთ შემთხვევაში გამოჯანმრთელების ნება კი არ ჭარბობს, არამედ ავადმყოფობის მოთხოვნილება. თუკი წინააღმდეგობას გავაანალიზებთ და მისგან გამოვრიცხავთ მკურნალობისადმი სიჯიუტესა და ავადმყოფობაზე ფიქსაციას, მაინც რჩება კიდევ ერთი უძლიერესი ფაქტორი; უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვეთვის უკვე ცნობილი ნარცისისტული გაუცხოვება, უარყოფითი განწყობა მკურნალობისადმი და ავადმყოფობაზე ფიქსირება.

საბოლოოდ, ჩამოგვიყალიბდა თვალსაზრისი, რომ აქ საქმე „მორალურ“ ფაქტორს, დანაშაულის გრძნობას ეხება, რომელიც დაკმაყოფილებას ავადმყოფობაში პოულობს და არ სურს სასჯელის უკუგდება. საბოლოოდ, სწორედ ამ ნაკლებად დამარწმუნებელ ახსნაზე უნდა შევჩერდეთ. ამავე დროს, განსაკუთრებულად ძნელია დაარწმუნო ავადმყოფი, რომ სწორედ ამ მიზეზით გრძელდება მისი ავადმყოფობა. ავადმყოფი უფრო გასაგებ ახსნას მიმართავს; კერძოდ, რომ ანალიზური მკურნალობა ეფექტური მეთოდი არაა.

ანალიტიკოსისთვის არაცნობიერი დანაშაულის გრძნობისადმი დაპირისპირება რთული პროცესია. აღნიშნულ გრძნობასთან პირდაპირი დაპირისპირება უშედეგოა. ხოლო რაც შეეხება არაპირდაპირსა და ნელ მოქმედებას, არაცნობიერში განდევნილი მიზეზის აღმოჩენასა და მის თანდათანობით გაცნობიერებას, _ ეს გზა აშკარა შედეგს იძლევა.

ჩვენს მიერ აღწერილი ყველა უკიდურეს შემთხვევას შეესაბამება და შეიძლება გამოვიყენოთ არა ერთი, მძიმედ მიმდინარე ნევროზის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ალბათ, ეს რეალური ფაქტორია _ „მე–იდეალის“ მოქმედება, რომელიც ნევროტული დაავადების სირთულეს განსაზღვრავს.

განსაკუთრებულ ზემოქმედებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არაცნობიერი დანაშაულის გრძნობა იმ პირთან იდენტიფიკაციის შედეგია, რომელიც ერთ დროს სექსუალური ობიექტი იყო. დანაშაულის გრძნობის ამგვარი გადატანა სიყვარულის ხშირად ერთადერთი და ძნელად საცნობი ნაშთია. მისი მელანქოლიასთან მსგავსება უდავოა. თუკი შესაძლებელი გახდება დაკარგული ობიექტის აღმოჩენა არაცნობიერი დანაშაულის გრძნობის მიღმა, მაშინ თერაპია თავის ამოცანას კარგად შეასრულებს. განსხვავებულ შემთხვევაში თერაპიული ჩარევის გამოსავალი არც თუ ისე გარკვეულია. პირველ რიგში, ის დანაშაულის განცდის ინტენსივობაზეა დამოკიდებული, რომელსაც თერაპია ხშირად ვერ უპირისპირებს შესაბამისს ძალას. ალბათ, ის დამოკიდებულია იმაზეც, აღიარებს თუ არა ანალიტიკოსი, რომ ავადმყოფი მას საკუთარი „მე–იდეალის“ ადგილს უთმობს. ასეთ დროს ანალიტიკოსი წინასწარმეტყველისა და სულის მხსნელის როლებს ასრულებს ხოლმე. მკურნალის ასეთი მოქმედება ანალიზის წესებით კატეგორიულად იკრძალება. უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი ვითარება ანალიზის მოქმედებას მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის. . .

რატომაა, რომ „ზე–მე“, არსებითად, დანაშაულის გრძნობის (როგორც კრიტიკა; “მე”-ს მიერ კრიტიკის შესატყვისი აღქმა) სახით ვლინდება? რატომაა, რომ, ამასთან ერთად, “ზე_მე” ასეთ

განსაკუთრებულ სიმკაცრესა და ულმობელობას ავლენს „მე“–ს წინააღმდეგ? თავდაპირველად მივმართოთ მელანქოლიას. ვნახავთ, რომ ზეძლიერი „ზე–მე“, რომელმაც ცნობიერება „მე“–ს წინააღმდეგ მიმართა, ისე ულმობლად მძვინვარებს, თითქოს ინდივიდის განკარგულებაში მყოფ მთელს სადისტურ ძალებს იყენებდეს. ჩვენი გაგების მიხედვით, “ზე–მე“–ში დესტრუქციულმა კომპონენტმა დაისადგურა და „მე“–ს წინააღმდეგ მოქმედებს. ის, რაც ახლა „ზე–მე“–ში ბატონობს, სიკვდილის ლტოლვაა და ის საკმაოდ ხშირად ახერხებს „მე“-ს სიკვდილამდე მიყვანას. ეს მაშინ ხდება, თუ „მე“ თავს ვერ იცავს მისი ტირანიისგან.

თუკი “იგი”-ს ლტოლვათა შეზღუდვისა და მორალის დაცვის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ „იგი“ სავსებით ამორალურია. “მე„ ცდილობს იყოს მორალური, „ზე–მე“–ს კი შეუძლია გახდეს ჰიპერმორალური და თანაც, ისეთი კატეგორიული, როგორიც მხოლოდ „იგი”-ა. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი რაც უფრო მეტად ზღუდავს გარეთ მიმართულ აგრესიას, მით უფრო მკაცრი, მაშასადამე, აგრესიული ხდება მისი „მე–იდეალი“. ერთი შეხედვით ვითარება საპირისპიროდ ჩანს; „მე–იდეალის“ მოთხოვნის საფუძვლად აგრესიის დათრგუნვის მოტივი აღიქმება. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ფაქტი ფაქტად რჩება -- რაც უფრო მეტად ეუფლება ადამიანი საკუთარ აგრესიას, მით უფრო ძლიერდება მისი იდეალის აგრესია „მე“–ს წინააღმდეგ. ჩვეულებრივ, მორალს მტკიცედ კატეგორიული, ამკრძალავი ბუნება აქვს. სწორედ აქედან მომდინარეობს მკაცრად დამსჯელი უმაღლესი ფსიქიკური ინსტანციის კონცეფცია.

განხილული მიმართებების შემდგომი განმარტებისთვის შემომაქვს ახალი დაშვება - „ზე–მე“. ის მამის ხატთან იდენტიფიკაციით წარმოიქმნება. ყოველ ასეთ იდენტიფიკაციას დესექსუალიზაციის ანდა თავად სუბლიმაციის ბუნება აქვს. სუბლიმაციის შემდეგ სექსუალური კომპონენტი დესტრუქციასთან კავშირს წყვეტს; ის აგრესიისა და დესტრუქციის მიდრეკილებისაგან თავისუფლდება. ამ დაშლით „იდეალს“ გარდაუვალი ვალდებულების მტკიცე და მკაცრი თვისება მიეწერება.

ახლა ჩვენ ვხედავთ „მე“–ს თავის სიძლიერესა და სისუსტეში; მას მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია. მიმართების ძალით ის აღადგენს სულიერი პროცესების ქრონოლოგიას, რასაც რეალობის შეფასება ექვემდებარება. აზროვნების პროცესების ჩართვით ის აკავებს მოტორულ განტვირთვასა და მოქმედებას მართავს. მოქმედების მიმართ „მე“ „კონსტიტუციური მონარქის“ მსგავს როლს ასრულებს. ის ინსტანციაა, რომლის სანქციის გარეშეც არ მოქმედებს კანონი. მაგრამ რომელიც, ამავე დროს, ინტენსიურად ფიქრობს, სანამ “ვეტოს დაადებდეს პარლამენტის წინადადებას”. „მე“ ცხოვრების ყოველგვარი გამოცდილებით მდიდრდება. მისთვის „იგი“ სხვა გარესამყაროა, რომლის დაქვემდებარებასაც ესწრაფვის. „მე“ „იგი“–ს ლიბიდოს ართმევს და მისი ობიექტის მუხტს „მე“–ს წარმონაქმნად აქცევს. „მე“ ხანგრძლივი პროცესების მანძილზე ვითარდება: ლტოლვის აღქმიდან ლტოლვის დაუფლებამდე და ლტოლვისადმი დამორჩილებიდან მის შეკავებამდე. „მე–იდეალი“ აქტიურად მონაწილეობს „იგი“–ს ლტოლვათა მიმართ “მე”-ს რეაქციებში.

ფსიქოანალიზი იარაღია, რომელმაც „მე“–ს „იგი“–ს თანდათანობითი დაუფლება უნდა შეაძლებინოს.

ამავე დროს, “მე” შეიძლება განსხვავებულადაც აღვიქვათ; როგორც საბრალო არსება, რომელიც სამგვარ სამსახურში დგას და ამის გამო სამგვარი მუქარის, - „იგი“–ს ლიბიდოსა და „ზე–მე“–ს სიმკაცრის – გამო იტანჯება. სამ ხიფათს სამგვარი შიში მოსდევს.მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შიში უკანდახევის გამოხატულებაა. “მე”, შუამავალის სახით, სამყაროსა და „იგი“–ს შუამდგომლობს. მან „იგი“ გარემოს მიმართ დამთმობი უნდა გახადოს და, ამავე დროს, საკუთარი მოქმედებით, „იგი“–ს სურვილიც დააკმაყოფილოს. „მე“ მოქმედებს, როგორც მკურნალი ანალიტიკოსი, როდესაც „იგი“-ს ყურადღებას საკუთარ თავზე, როგორც ლიბიდოს ობიექტზე, მიმართავს; “იგი”-ს საკუთარ თავს სთავაზობს ლიბიდოს წარსამართავად. „მე“ არა მხოლოდ “იგი“–ს დამხმარეა, არამედ მისი გამგონე მსახურიც, რომელიც ბატონის სიყვარულის დამსახურებას ცდილობს. თუკი შესაძლებელია, “მე” „იგი“–სთან თანხმობში რჩება და ამასთან ერთად, „იგი“–ს არაცნობიერ ქცევას ნიღბავს. . . მაშინ, როდესაც „იგი“ მტკიცეა და ურჩი, “მე” მიისწარფვის მოხსნას მისი კონფლიქტი “ზე-მე”-სა და გარე რეალობას შორის. აშუალებს რა „იგი“–სა და რეალობას, „მე“ ხშირად პირფერია და ცრუ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ხალხს პირადი ინტერესებისთვის იყენებს.

“მე” იდენტიფიკაციასა და სუბლიმაციას მიმართავს, რათა ორივე (სექსუალური და დესტრუქციული) ლტოლვა დააკმაყოფილოს. ლიბიდოს მოსაპოვებლად “მე” “იგი”-ს სიკვდილის ლტოლვას იზიარებს, რაც მას სახიფათო სიტუაციაში აგდებს; “მე” შეიძლება სიკვდილის ლტოლვის ობიექტი გახდეს და დაიღუპოს კიდეც. ამავე დროს, ეროსის შესაბამისად, “მე” სიცოცხლისა და სიყვარულისკენ არის მიმართული. „მე“, ასევე, შიშის კერაა; სამგვარი წნეხის ქვეშ „მე“ თავდაცვის რეფლექსს შეიმუშავებს, რომლითაც თავს განარიდებს ხიფათის აღქმისგან. „მე“-ს აშინებს როგორც სიამოვნების პრინციპი, ასევე, მისი საპირისპირო „ზე–მე“–ს სინდისიც. უმაღლესი არსება, რომელსაც „მე–იდეალი“ ვუწოდეთ, ოდესღაც კასტრაციით გვემუქრებოდა და კასტრაციის შიშია, ალბათ, ის ბირთვი, რომლის საფუძველზეც სინდისი ვითარდება. . .

ბოლოს ვუბრუნდებით “იგი”-ს, რომელსაც არ გააჩნია რაიმე საშუალება, რათა “მე”-სადმი სიყვარული ან სიძულვილი დაამტკიცოს. მას, ასევე არ ძალუძს იმის თქმა, თუ თავად რა უნდა. მას არა აქვს შემუშავებული მეთოდები, რომლებითაც ლტოლვები ერთმანეთისგან თავს დაიცავდნენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ “იგი” უტყვია, მაგრამ მტკიცე სიმშვიდისადმი მიდრეკილ სიკვდილის ლტოლვასთან მიმართებაში, რომელსაც, თავის მხრივ, მყუდროების დამრღვევი ეროსის გაჩუმება სწადია. მაგრამ აქ ცალკე გასათვალისწინებელია და სათანადოდ შესაფასებელი ეროსის მნიშვნელობა.